

K 209 .073  
3



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო  
სამცნობო-გეოგრაფიული ცენტრი

პლაზმანდრე გვ. გვ. გვ.

# სასვენი ღა წერა-გეზევის ტექნიკის ნიმუში

თბილი — 1989

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო  
საგვიროო-გეოგრაფიული ცენტრი

ალექსანდრი გვიგვიშვილი

# სასვენი და წერა-პეტლის ტექნიკის ნიმუში



თარიღი: — 1989

499962.1-19

# Հայոց յիշ մատուցուս



ծրագրութեան ծառայութեան համար հայոց յիշ մատուցուս  
ծրագրութեան ամենահայտնի և ամենալավ պատճենը է այս գույքը։  
Տասներեց ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։

Հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։


Հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։

Հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։

Հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։

Հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։

Հայոց յիշ մատուցուս պատճենը կազմութեան ամենահայտնի պատճեն է այս գույքուն ամսական հայոց յիշ մատուցուս պատճենը։



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

მრავალმხრივი და არსებითი ლონისძიებები გატარდა საქართველოში საბჭოთა წეულის დამყარების შემდეგ ქართული ენის კითხვდებისათვის. მარტო იმის აღნიშვნა რად ლირს, რომ ამ თროიდან სახელმწიფოს მზრუნველობის საგანი გახდა ქართული სალრტირატურო ენის საკითხების მოწესრიგება. ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია საქართველოს სსრ მთავრობასთან 1925 წელს ჩამოყალიბდა. სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები. სათანადო უწყებების სპეციალური კომისიები გეგმაზომიერად წარმართავენ ორთოგრაფიის და ტერმინოლოგიის უნიფირირებული ნორმების შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას; კრებულები გმოდის მართლწერის საკითხებზე<sup>1</sup>. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი რამდენჯერმე გამოიცა<sup>2</sup>. ქართული ენის ცალკეული თემებისა და მთელი კურსის სწავლებისათვის შეიქმნა მეთოდიკები, დიდაქტიკური მასალები და სხვა.

ქართული ხალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და საყოველოად მისაოდენი ნორმების დადგენაში მონაწილეობდნენ ყველა დარგის მეცმიერები და პრაქტიკოსი მასწავლებლები.

ქართული ენის კურსის გაძლიერებული სწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სალიტერატურო ენის დადგენილი ნორმების დამკაირიება პრესაში, წიგნებში, სხვადასხვა უწყების „საქმის ქაღალთებში“. ყველა სახის საინფორმაციო საშუალებებში და სხვა — მოელი შესაძლებლობით ამაღლებდა დ ამაღლებს მასების „მეტყველების კულტურას“.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ხშირად გვიხდება საუბარი. სალორტირატურო ენის ნორმების დარღვევებზე. განსაკუთრებით კი პენსიტუაციისა და წერის ტექნიკის სხვა წესების დაკვირვების თაობაზე. პენსიტუაციური დარღვევები ყოველმხრივ ამოაბლებს ყოველი პიროვნების წერის კულტურას. „შეიძლება დარჩმითნიბით ითქვას, რომ ჩვენთან პუნქტუაციის ათვისება მოითხოვს უფრო დიდ შრომას, ვიდრე

<sup>1</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970 წ.

<sup>2</sup> ვარ ლამ თოფურია და ეფანე ვავანდაშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1968, მეცნიერებლოდებრივი



Российская академия наук

Издательство Наука

органическим языком, в котором он выражает свою мысль, то есть в языке, который он изучает. А это означает, что он не может не использовать языковые средства, чтобы передать свою мысль. И это означает, что он не может не использовать языковые средства, чтобы передать свою мысль.

Нам доказано, что языковые средства, которые мы используем, являются не только средствами для передачи информации, но и средствами для передачи эмоций. Это означает, что мы можем использовать языковые средства, чтобы передать эмоции, которые мы испытываем.

Чтобы доказать это, нам нужно показать, что языковые средства, которые мы используем, являются не только средствами для передачи информации, но и средствами для передачи эмоций. Для этого мы можем использовать языковые средства, чтобы передать эмоции, которые мы испытываем.

Следовательно, языковые средства, которые мы используем, являются не только средствами для передачи информации, но и средствами для передачи эмоций.

Следовательно, языковые средства, которые мы используем, являются не только средствами для передачи информации, но и средствами для передачи эмоций.

1 А. Б. Шапиро. Современный русский язык, пунктуация, М., 1974, стр. 5.

2 А. Б. Шапиро. Современный русский язык, пунктуация, М., 1974, стр. 5.



სფეროს განეკუთვნებოდა. ავტორმა სადაცოდ გახდა საშუალო წელი 30 დარღვევა შძიშის (,) მოხდაობასთან იყო დაკავშირებული, უცილა ერთ შეცდომად ჩამოთვალისო. დიდად საინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთის „შპარგალეკა“, ოთხელიც წერის პროცესში ჩამოართვეს შემო-სხვლელს. როგორც ჩანდა, ეს იყო „ზეპირი შპარგალეკა“. ტექსტში სასევენი ნიშნები აღნიშნული იყო დასახელებით; მაგალითად: „ქართ-ველი რეალისტი შეერლების ყველაზე ძლიერი ჭარმომადგენელია ილია ჭავჭავაძე (წერტ.); მან დაწერა ლექსები (მძიმ.), პოემები (მძიმ.) და დრამატული ხატომოვებები (მძიმ.), ოთხლებშიც ასახულია საქართველოში არსებული ეროვნული (მძიმ.) სოციალური (მძიმ.) და კულ-ტურული მდგრმარეობა (წერტ.).

წარმოვიდგინოთ, თუ რა აუტანელი ძალ-ლონე დასჭირდა ავტორს ასეთნაირი ტექსტის დამახსოვრებისათვის; ყოველივე კი გამიზ-ხული იყო იმისათვის, რათა პუნქტუაციის წესები შართებულად და-მცი.

გრამატიკის საკითხების შესწავლისათვის საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულია საკმაოდ დიდი დრო; ჩვენი მასწავლებლები, ჩანს, უფრო „გატაცებული“ არიან თეორიული კურსის თემების სწავლებით; ერთვარად მაინც. გარკვეულ დროს უთმობენ ართოვრაფიის მოელენების დაუფლებას, მაგრამ პუნქტუა-ციისა და წერის ტექნიკის სხვა წესების დასაუფლებლად რჩებათ ცოტა დრო. არ წარმოებს მიზნობრივი სავარჯიშოები ამ წესრიგის ირგვლივ და სხვ. ეს გარემოება უნდა იქნას გათვალისწინებული მშობლიური ენის გრამატიკისა და გრამატიკის სწავლების მეთოდიების სა-ხელმძღვანელოების შედეგინისას.

პრაქტიკოს მასწავლებლებს კარგად მოეხსენებათ, რომ მოწაფე-ებს მალე ავიწყდებათ გრამატიკის თეორიული ცოდნა. მაგრამ სის-ტემატური გარჯიშით შეძენილი ჩვევები დიდხასს გაჰყვებათ მათ. მის შესაბამისად ძალუზე გონივრული ლონისძიება იქნებოდა, თუ სა-შუალო სკოლების სასწავლო გეგმებში ცალკე გამოიყოფა: „პუნქტუაციისა და წერა-ბეჭდების ტექნიკის სხვა საშუალებებით“. აბლა მშობ-ლიური ენის გრამატიკის კურსის შესწავლა მთავრდება აჩასრულ საშუალო განათლების ფარგლებში. რა დიდი სიეთი იქნებოდა, რომ შე-9 კლასის ორ მეოთხედში მაინც გაგრძელებულიყო პრაქტიკული სამუშაოები პუნქტუაციის წესების დასაუფლებლად. საგანგებო გან-წყობა გრამატიკის საკითხებზე, გამეორებისა და პუნქტუაციის წესებ-ზე მუშაობა უფრო შეგნებულ საფუძველს შექმნიდა. ამ კურსის ცალ-ზე საგნად გამოყოფა სულ ბევრი კვირაში ერთ საათს დაიკავებდა. ეს საგნად გამოყოფა სულ ბევრი კვირაში ერთ საათს დაიკავებდა.

რა თქმა უნდა. არ იქნებოდა უნაყოფო, თუ უმაღლეს სასწავლებ-ლებში ფილოლოგისა და ეურნალისტიკის სპეციალობებზე მაინც



შემოვიდებთ „წერის კულტურას“. უფრო ადრე იყო ამის ურთიერთობა რომელსაც ეწოდებოდა: „წიგნიერება“.

უხდა ვიღოხოთ და გავატაროთ გადამწყვეტი, ქმედითი ღონისძიებები, რათა საშუალო სკოლების და მით უძეტეს უძაღლესის კურს-დამთავრებულებს პქონდეთ შეგნებული და ძირიცხ ჩვევები „მეტყველების კულტურის“ სფეროში; მათ არ უნდა „ეშინოდეთ“ საკუთარი ნამუშევრის გამოჩენის; შეეძლოთ თვითყონტროლი და სხვისი ნამუშევრის გაკოსტროლება; გაბედულად იყენებდნეს შექნილ „ენის კულტურას“ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

## სალეზალელი მიზანები

მასწავლებლები და მოსწავლეებიც ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის სწავლებისას აწყდებიან გარკვეულ სიძებლეებს; ამის ერთობითი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ გრამატიკის სფეროში მოუგვარებელია საკითხები, რომლებიც ძაწავლებელთა უფლებებს არ ექვედებარება. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ასეთ შემთხვევას: ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში როკეტენდებულია ფორმა „მხოლოდითი“. ხოლო ქართული გრამატიკის მიერმედ სახელმძღვანელოში დაცულია: „მხოლოდითი“.

წერება განცხადება: „გთხოვთ გამომიწეროთ 5 კილოგრამი ქაღალდი“. წინადადების ანალიზისას აღმოჩნდება, რომ ეს არის რთული წინადადება. სინამდვილეში ექ ორი ნიშანი იყო საჭირო: ერთი — მძიმე (,), ხოლო მეორე — ტირე (—); და მიიღებდა ასეთ სახეს: „გთხოვთ, — გამომიწეროთ 5 კილოგრამი ქაღალდი“. ჩვენ კი ერთსაც არა ვწერთ?!

ხშირად წავაწყდებით ასეთი ტიპის წინადადებას: „საოჯახო იჯარა შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსებით“; ან კიდევ: „პარტიისა და მთავრობის მიერ მეჩაიერდაში დასახული ამოცანების განხორციელება შესაძლებლობას იძლევა არ ვუღალატოთ ტრადიციას..“ ექ მოყვანილი წინადადებები აგებულების მიხედვით რთულია, მაგრამ უკავშირო, „საოჯახო იჯარა იძლევა შესაძლებლობას“, — „რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსებით“. მაში, რატომ არ ვწერთ მათ შორის მძიმეს?!

ტრადიციულად ყველას გვისწავლია და მიგვითითებდნენ, რომ „ალბათ“ არის შორისდებული და სხვა სიტყვებისაგან მისი გამოყოფა საჭიროებდა მძიმეს. ახლა ზოგი წერს მძიმეს, ზოგი არა. ან ერთი უნდა დავაწესოთ ან მეორე!

ზოგჯერ შორისდებულის ფუნქციის მქონე სიტყვა წინადადების წევრია. ასეთ შემთხვევაში მისი მძიმით გამოყოფა უმართებულო იქ-



ნება: „ვაშა თქვენს შემართებას!“ „ქება-დიდება თქვენს შემართებას! საერთოდ, შორის დებულების გარკვევასა და მათთან პუნქტუაციის ნიშნების მოხმარების სფეროში დასადგენია ბევრი რამ.“

ჩვენი ახალგაზრდობა უურნალების ფურცლებზე ზოგჯერ ხვდება ისეთ პუბლიკაციას (ლექსი...), სადაც აღც ერთი სასვენი ნიშანი არ მოიპოვება. საკითხავია: ვითომ რა მოსაზრებით?!

სუბიექტური გამოვლინებანი კიდევ უფრო შორს მიდის. სანიმუშოდ შეიძლება მიუჰთითოთ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებში პუნქტუაციის წესებისა და წერის ტექნიკის სხვა ნიშნების მოხმარების წესზე. მწერალმა თოქმის მთლიანად აიღო ხელი ტირეს (—) გამოყენებაზე ასეთ შემთხვევებში. — დიალოგის მაგალითი „ვაზის ყვავილობაში“.

„ქეთილი, აბა თქვენ თქვით, რამდენი მეტრია მეორე კათეტის სიგრძე?“ შეეკითხა ნუნუ უჭირაულს პროფესორი.

„რვა“.

„ახლა ეს გადამითვალე და სოქვი, რამდენი იქნება?“  
„სამოცდაოთხი“.

„მიუმატე ერთმანეთს“.

„ასი“.

„პიპოტენუზა რა სიგრძისაა, გოდერი?“

„ათი მეტრისა“.

„გადაამრავლე ათი ათზე“.

„მივიღებთ ას მეტრს“.

ქართული ენის მეცნიერული გრამატიკასა და სწავლების მეთოდიკებში ერთ-ერთ დიდ პრობლემად ითვლება ე. წ. „პრეფიქსების“ მართებულად მოიხმარება. იწერება ბევრი ამის შესახებ: მას-წავლებლები ძალიან დიდ დროს ხარჯავენ მათი წესების დასაუფლებლად: მაგრამ რა?! მოწაფეები ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან პრეფიქსების მოხმარების წესების დარღვევებს: ისინი არც უწევინ ანგარიშს ამას იმის გამო, რომ თუ სახელმძღვანელოს ტექსტში სწერია, მაშ სწორია!

შორს რომ არ წავიდეთ, აქვე „ვაზის ყვავილობის“ მოყვანილ დიალოგში ორი ზმნა ასეთი ფორმით: თქვით, და სთქვი: მეორე პირის წართქმითი ბრძანებითია: პირველს არა აქვს პირის ნიშანი და გრამატიკულად სწორია: მეორეს „სთქვი“ — მოუდის პირის ნიშანი: ცხადია, უმართებულო. როგორ მოიქცეს ახლა მოსწავლე?!

ასეთი შემთხვევები მივვანიშნებს ძალზე დამაფიქტრებელ ამოცანაზე: სასწავლო ტექსტებში მაინც დავიცვათ დადგენილი უნიდივირებული ნორმები! მართალია, ილია ჭავჭავაძეს ასე უწერია: „კენახირამ“: მართალია, კონსტანტინე გამსახურდიას ასე უწერია: „სთქვი“ (ბრძანებითი), მაგრამ ჩვენ ხომ მათი შემოქმედების ნიმუშების ტექს-



ტებით ვასწავლით ქართულ სალიტერატურო ენას?! როგორ? ისლიკ  
პავტვადე უარს იტყოდა, რომ სასწავლო-სააღმზრდელო მიზნით გან-  
კუთვნილ ტექსტში ნორმების შესაბამისად შესწორება შეგვეტანა?  
არა, ილა თავად გაამართლებდა ასეთ სასარგებლო შესწორებებს;  
ასე — სხვანიც.

სუბიექტური მოსაზრებები სასვენი ნიშნების მოხმარების სფე-  
რავლო სახელმძღვანელოებში მაინც მოხვდეს ყოველმხრივ მოწისრი-  
გებული ტექსტები. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ მასწავ-  
ლებლისათვის პირველ საჯარვიშო მასალად ითვლება სახელმძღვანე-  
ლოს ტექსტი. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამბობთ. ტექსტების ენა ისე  
გარდაიქმნას, რომ ვეღარც „უიცნოთ“. არა! მართლწერის წესების  
შესაბამისად შესწორება კი მოიტანდა დიდ სიკეთეს. სამეცნიერო  
გამოცემებში კი უცვლელად დარჩეს ავტორისეული ენაც და პუნქ-  
ტუაცის წესების მოხმარებაც. ეს სულ სხვა საკითხია!

განსაკუთრებით ახალგაზრდობა გატავებით ეწაფება ეურნალ-  
გაზეთებს, ახალ წიგნებს, სათანადო რედაქტორებმა უნდა გასწიონ დი-  
დი ძალისხმევა, რათა მათს პუბლიკაციებში ყოველმხრივ მართიბუ-  
ლი იყოს პუნქტუაციისა და წერის (ბეჭდვის) ტექნიკის სხვა საშუა-  
ლებების მართებულად გამოყენება.

## სასვენი და წერა-ბეჭდვის ტექნიკის სავა ნიშნები

წერისა და ბეჭდვის საქმიანობაში ვიყენებო განსაკუთრებულ  
ნიშნებს, რომლებსაც ეწოდება — სასვენი ნიშნები (Знаки препинания,  
Пунктуация). რუსული ენის პრეპინაცია-ს კარგად შეესატყვი-  
სება ქართული „სასვენი“; შეიძლებოდა ყოფილიყო ასეც: „დაყოვ-  
ნება“. ჩვეოლებრივ, ყვილა ენაში დამკვიდრდა: პუნქტუაცია.

გამოთქმა: სასვენი ნიშნები — კარგად გამოხატავს ამ პირობითი  
საშუალებების სინტაქსურ-ინტონაციური დანიშნულების ხასიათს. მაგ-  
რამ უნდა შეგნიშნოთ, რომ წერასა და ბეჭდვაში მოხმარებულ კველა  
პირობით ნიშანს არ გააჩნია სინტაქსურ-ინტონაციური სათვალეელი.  
მაგალითად: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), ძალის ნიშანი !).  
მძიმე (.) და ზოვიერითი სხვა — გამოიყენება სინტაქსურ-ინტონაციი-  
ური პრინციპის შესაბამისად. მაგრამ არის ისეთი პირობითი ნიშნები,  
რომელთა მოხმარება არ გულისნმობს — სინტაქსურ საფუძველს:  
ასეობებია: ტირე (—), ბრჭყალები („—“), ფრჩხილები (—), დე-  
ფისი (-) და სხვა.

ყოველივე ამის შესაბამისად მიზანშეწონილად ჩაფიქრეთ, ცოდ-  
ნის ამ დარგისათვის გამოყენებულ იქნას ასეთნაირი აღნიშვნა: პუნ-  
ქტუაცია და წერა-ბეჭდვის ტექნიკის სხვა საშუალებები.

## პუნქტუაციის ისტორიიდან

წერის შემოღება ყოველი ხალხისათვის იყო ფრიად თვალსაჩინო ულტრული მოვლენა. რა თქმა უნდა, წერა დაკავშირებული იყო ბეჭრ სიძნელესთან: საწერი მასალის შერჩევა. წერის იარაო და სხვ. პირები ხანებში საწერ მასალათ იყენებდნენ: ქვას, ფიცარს, თიხას. ტყავს, პაპირუსს (მცინარის ქურქი) და სხვას. ჩინილებმა იხალი წელთ-ალრიცხვის საუკუნეში (105 წელს) უკვე იკოდნენ ქათალის მიოღ-ბის ტექნოლოგია, მაგრამ სიიდუმლოდ ინახავდნენ ამ საქმიანობას. არაბებმა მერვე საუკუნეში „მიაგნეს“ ქათალის დამზადების წე-სებს. ქათალი ესპანეთში პირებიათ ჩნდება მეთერთმეტე საუკუნე-ში. ამის შემდგა იკრიბის სხვა ჟავუნებში ზეთიშედ ისწვევლის ქათალ-ის მიობის ტექნოლოგია და მაღალი ხარისხის ქათალის გაურცე-ლებით მატოქიობას უწევდნენ სხვებსაც.

ქათალი საქართველოში მეთერთმეტე საუკუნეში გუხვიბა; თიქონიბა; რომ ქართველებს უფრო ადრე უნდა სცოდნოდათ ქა-ლობის მოხმარება!

ქვაზე და ტყავზე წერისას, ცხადია, უთრო იმაზე ღიქრობდნენ. რომ მიერწიათ ადგილის ეკონომიკისათვის. ამიწომ იყო, რომ სიტყოა-სა და სიტყვას შორის არ ტოვებდნენ ადგილს. ასეთნაირად ნაწირში ძნელად გასაჩინავი იყო, თუ საო მთავრდებოდა სიტყვა, აზრი. წინა-ოათება. რა თქმა უნდა, ძნელდებოდა წაკითხვაც. შემდგამში თანათან მიმართავდნენ ტექსტში სიტყვების დაშორიბას და ამასთან ერთად სათანადო პირობითი ნიშნით გამოიყენებას. ამ საშუალებებს იწყ-ოებოთა: „განკუთოლობის“ ნიშნები. წერტილი ითვლებოდა განკუ-თოლობის ერთ-ერთ ნიშნად!

თავას/ზრიბულათ მიაჩნიათ, რომ საქართველოში უკვე VI სა-უკუნის წერტილობით მიაღწიო არის „სასეინი ნიშნების“ გამოყენე-ბის შემთხვევის უფრო აქეთა საუკუნეებში გარკვითლი შეანებო-ლობა გამომზავდა „განკუთოლობის“ საშოალებებში. წერტილს ინიშიბოდა მრავალნაირი დანიშნულება. მნიშვნელობა ჰქონდა აგრი-ოვი წერტილთა რაოდენობას: ერთი წერტილი იწარებოთა სიტყვებს შორის („მცირეთ-სასუინარ“); ორი წერტილი და ზოგჯერ სამი წერ-ტილი სიტყვების დასაშორებლად; სამი წერტილი („დიდად სასვე-

1 ივანე გავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნება, ანუ პა-ლეოგრაფია, მეორე გამოცემა, 1949, გვ. 27, ა. ფოცხვილი. ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, 1979, გვ. 149.

2 А. В. Шапиро, Современный русский язык, пунктуация, М., 1974, стр. 8.

ნად“) თითქოს „მძიმის“ დანიშნულებას ასრულებდა. ეჭვი წერტილი ამთავრებდა აზრს (წინადაღებას)<sup>1</sup>.

მეჩვიდმეტე და მეორამეტე საუკუნეებში უკვე იციან „მძიმეს“ და სხვა ნიშნების გამოყენება.

განკვეთილობისა და პუნქტუაციის ნიშნების მოხმარების წესი-ბის პრაქტიკაში დასანერგად ჯეროვანი დამსახურება კუთხოვნით გიორ-გი მთაწმინდელს (XI საუკ.), ეფრემ მცირეს (XI ს. II ნახ.) და სულ-ხან-საბა ორბელიანს (XVII—XVIII საუკ.), აგრეთვე ანტონ კათალი-კოს (XVIII ს.).

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ რუსული პრესისა და წიგნების, „საქმიანი ქალალდების“ შედგენის ცოდნის, წერისა და ბეჭედვის პრაქტიკაში დამკავიდრდა: სახვენი ნიშნებისა და წერის ტექნიკის სხვა საშუალებების მოხმარების წესების დაცვა.

გავიხსნოთ. — რა სიძნელეს წარმოადგენდა: განკვადების წერა, ან სხვა საბუთების შედგენა მხოლოდ იმ ოვალსაზრისით, რომ მარ-თებულად ყოფილიყო დამული: წერტილი, მძიმე და სხვ. საგანგე-ბოდ გაწერთნილი ხანგრძლივი პრაქტიკის „მწერლები“ თუ შეძლებ-დნენ უშეცდომოდ მათ შედგენას. ეს ვითარება კარგად აისახა გიორგი ერისთავის ერთ კომედიაში, რომელსაც ეწოდება „დავა“ (ანუ ტოჩქა და ზაპეტაია), ახლა, ე. ი. XX საუკუნის მიწურულში შორს ქართ ასეთი მდგრამარებიდან, მაგრამ მაინც გვიხდება პუნქტუაციის წესებზე ყურადღების შეჩერება.

### პუნქტუაციისა და წერა-ბეჭედვის ნიშნების საცურავლებისათვის

პუნქტუაცია და წერა-ბეჭედვის ტექნიკის სხვა ნიშნები ისეთი სა-შუალებებია, რომ მათი შემოლებით წერა (ბეჭედვა) კიდევ უფრო გა-ძლიერდა და ამაღლდა მისი სოციალური დანიშნულება. რაც უნდა განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან ენები თავიანთი სტრუქტურული მონაცემებით, მაინც ბევრი რამ საერთო აქცი პუნქტუა-ციის სფეროში. რა თქმა უნდა, შეიძლება, რომ სასვენი ნიშნების გამოყენებაში ერთმანეთთან შედარებისას რაღაც თავისებურებანი აღმოჩნდეთ ინგლისურ და ქართულ ენებს, მაგრამ ეს უფრო ტრა-დიციის გამოვლინება თუ იქნება, ვიდრე არსებითი განსხვავება პუნ-ქტუაციის საფუძვლებისა და წესებში.

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პა-ლეოგრაფია, შეორე გამოცემა, 1949, გვ. 144; ლეო კვაჭაძე, თანამედროვა ქართული ენის სინტაქსი, 1988, გვ. 466; ილია აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბორთი, 1978.



ზეპირ მეტყველებაში სათანადო პაუზები და ინტონაციების ფორმა დასკვლები, ხოლო ნაწერში (ნაბეჭდში) პენქტუაციური საშუალებების ისევე ემსახურებიან ენის ძირითად ფუნქციას — საკომუნიკაციო ფუნქციას, — ორგორულ ყოველი ბერა, ყოველი სიტყვა, ყოველი გაძოვება და ყოველი ენის დასრულებული ფაქტი, ანუ წინადადება.

მეცნიერული თვალსაზრისით, მეტყველების ისეთი მცირე ელემენტიც კი, — ორგორულ არის ბერა (სამეტყველო ხმა) წარმოთქმის რამდენიმე მომენტს ძეიცავს. მაგრამ გამოტულ მეტყველებაში ბერის ეს ძომენტები მეუიარადებული ყურისათვის შეუძჩეველია. ბერის როდესაც ფონეტიკურად სწავლობენ, საგანგებოდ გამოყოფენ სხვა ბერებისაგან. უფრო მეტი შეყვოვნება არსებობს ბერის ან ბერების ჯგუფებს შორის ორელსაც ეწოდება მარცვალი. ყოველი მარცვის გამოყოფა ჰაერ-ნაკადის ხარჯების საფუძველს ემყარება. სიტყვა კი ისეთი ერთეულია, რომელიც ატარებს მნიშვნელობასა და დანიშნულებას, ან მარტო დანიშნულებას. სიტყვების გარეშე შეუძლებელია აზროვნება და აზრის გამოხატვა ისეთი ორგანიზებული საშუალებით, როგორულ არის ენა (მეტყველება). სიტყვებს თუ ერთმანეთისაგან ვაცალკევებთ პაუზით. სამაგიეროდ მათ ვაერთებთ ლოგიკურად, და ამავე დროს სათანადო ინტონაციით. აზრითა და ინტონაციით შეკავშირებული სიტყვები (გამოთქმები) ყოველთვის არ ემთხვევა გრამატიკულ ერთეულებს (მთლიანობებს); ამიტომ არის, რომ ყოველი სიტყვის ან გამოთქმის შემდეგ არ დაისმის სასვენი ნიშანი, თუ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული თავისებურება არ არსებობს. მეტყველება და მეტყველების სოციალური ფუნქცია დამდაბლებული იქნებოდა, რომ აღმიანს არ შეეძლოს აზრის დამთავრების ჩერება და ახალ აზრზე გადასვლისათვის შემზადება, ეს არის იმის საფუძველი, რომ ვიღებთ — ენის დასრულებულ ფაქტს, ანუ წინადადებას (აზრის გამომხატველი ნიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, ზოგჯერ სხვა საშუალებანიც).

ზეპირ მეტყველებაში წარმონათქვაში კომპლექსურად შეიცავს ყველა საშუალებას (მახვილი, პაუზა, ინტონაცია...). აღამიანი ცდილობს, რათა წერაში დაიცავს ზეპირი მეტყველების ყველა ნიუანსი (ელფერი), მაგრამ ამის სიზუსტით გამოხატვა თითქოს შეუძლებელია. დახლოებით მაინც ზეპირი მეტყველებისა და წერითი მეტყველების მიმართება ერთმანეთისადმი — სასვენი ნიშნებით თუ მოხერხდება. ზოგი რამ კი რჩება ზეპირ მეტყველებაში, რომელთა ტექნიკური

<sup>1</sup> А. В. Гиекучев, Методика русского языка в средней школе, 1980, стр. 287.



ნიშნებით პირობითად აღნიშვნა (ჩვეულებრივ წერასა და გამოყენების შეუძლებელია).

ძიუხედავად ხასვენი ნიშნების ასეთი „სუსტი“ მხარისა, მათი მართებულად გამოყენება ძეტყველების კულტურის ძალ-ღონეა.

სასვეიი ნიშნების (პუნქტუაციის) წესებს სამეცნიერო საფუძველი აქვთ. კერძოდ, პუნქტუაციის ძირითადი საფუძველი სინტაქსის სფეროა. ეს კარგად ოცნებებით სწავლების მეთოდიკების აეტორება და პრაქტიკოს პედაგოგებისაც.

პუნქტუაციის ზოგიერთი წესის მარტო სინტაქსური დახასიათება გაძხელდება, თუ არ შოვიშველიერ სხვა პრინციპებიც. არის შემთხვევები, როდესაც სასვენი ნიშნების მოხმარებისათვის სინტაქსურ-სტილისტიკური საფუძველი ჩანს. ამის სათახალ მაგალითი იქნებოდა ე. წ. „განცალკევებული სიტყვები და გამოთქმები“, რომლებიც, როგორც თემა, სახელმძღვანელოებში ცალკია გამოყოფილი.

წერის ტექნიკის ხიშხების ძოშმარებას სოგიერ ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკური საფუძველი მოეპოვებათ; ძაგალითად: ეურნალი „ცისკარი“, კოპერატივი „აზალი გზა“ და სხვ.

წერის ტექნიკის სოგიერთი ხიშანი ბეჭდვითს საქმიანობაში სასტამბი (პოლიგრაფიულ) ტრადიციას ემყარება; მაგალითად: აბზაცი, პარაგრაფი, გახსხვავებული შრიფტი და სხვ.

ძალიან მარტივად და საქმიანად რომ შევაფასოთ წერასა და ბეჭდვაში მოხმარებული ნიშნები, მოყიფვანთ ასეთ დადასტურებას:

„პუნქტუაციის ნიშნები ითვლება სამუალებებად, რომელთა მე-შეერთო მწერალი გამოხატავს გარკვეულ მნიშვნელობებსა“ და ელ-ფერს, — მის მიერ ჩაქსოვილს წერილობითს გამოხაოვამში, ხოლო შეითხველი, ხელას რა პუნქტუაციურ ნიშნებს ხაწერ (ხაბეჭდ) ტექსტში, ამათ საფუძველზე აღიქვამის გამონათქვამის მნიშვნელობასა და ელფერს“<sup>1</sup>.

## სასვენი ნიშნები (პუნქტუაცია)

წინადაღება ეწოდება ენის დასრულებულ ფაქტს. წინადაღებას სახელმძღვანელოში მოეპოვება ასეთი განმარტება, „წინადაღება ჰქვია ერთ ან რამდენიმე სიტყვას, რომლებიც დამთავრებულ აზრს გამოხატავენ“. წინადაღების შედგენილობის ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ ყოველი წინადაღება წარმოადგენს მეტყველების ელემენტთა სტრუქ-

<sup>1</sup> Н. С. Поздняков, Методика преподавания русского языка, М., 1955, стр. 274.

<sup>2</sup> А. Б. Шапиро, Современный русский язык, пунктуация, М., 1979, стр. 54.



ტურას; ასეთი ელემენტებია: ბგერა, რამდენიმე ბგერა ( ტურა), რამდენიმე სიტყვა, რამდენიმე სიტყვა (გამოთქმა) და თავად წინადაღება, ოთვოც აზრის გადასაცემ საძუალებათა (ელემენტთა) ერთობლიობა.

ეცნიერული ფონეტიკა ცალკეულ ბგერათა წარმოთქმაშიც კი ანსხვავებს რამდენიმე მომენტს, რომლებიც ადამიანის შეუიარაღებელი ყურით არ იგრძებათ. ყოველი ცალკემ გამოყოფილი ბგერა მთლიანობაში აღიქმება. გაბმულ მეტყველებასა ან წერაში ბგერები არ გამოიყოფა რაიმე სასვენი ნიშნით. ბგერის ან ბგერათა ჯგუფის მარცვად გაერთიანება უფრო საგრძნობია სმენისთვის, მაგრამ წერაში არ გამოცალებულება ნიშნით. ბგერა-მარცვლების ერთობლიობა ქმნის ცალკე ერთეულს, რომელსაც ეწოდება — სიტყვა. სიტყვა ენის აუცილებელი მასალაა. ზოგიერთი სიტყვა ატარებს ნიშნენლობას და დახიშნულებასაც, ზოგიერთი — კი დახიშნულებას. სიტყვა მეტყველებაში და წერაშიც ჰყეოთრად ატარებს ერთეულის სახეს. თუ რაიშე განსაკუთრებული შემთხვევა ამ არის, შეიძლება არც სიტყვა გამოიყოს წრაში ნიშნით. მეტყველებაში გარკვეული ერთეულის სახეს ატარებს გამოთქმაც. — როგორც სიტყვათა გარკვეული ასპექტთ დაყავშირება, მაგრამ გამოთქმა ყოველთვის არ გამოიყოფა წერაში რაიმე ნიშნით; ასე მიიღება რთული სტრუქტურული ერთეული: ბგერები, მარცვლები, სიტყვები, გამოთქმები, და ყველა ერთად წინადაღება. — როგორც აზრისა და ინტონაციის ერთობლიობა. ყოველი განსაკუთრებული შემთხვევა ჰქმნის საფუძველს წინადაღებაში სასვენი ნიშნების შობმარებისათვის და წინადაღების დამთავრებულად ჩეკემებას.

წინადაღების მანძილზე ხმის განაწილებას ეწოდება — ინტონაცია. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩეკეულებრივი პუნქტუაციის ნიშნები მაინც უძლეურია, რომ წინადაღების ინტონაციის ყველა თავისებურება აღინიშნოს. მიუხედავად ამისა, სასვენ ნიშნებს (პუნქტუაციურ საშუალებებს) მაინც გარკველი წესრიგი შეაქვთ წინადაღების ავტულებაში და გვიადვილებინ ერთმანეთის ნაწერის გაებას, მწერლისა და წამკითხველის ურთიერთყავშირს. ყოველივე ამას კი ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა საზროვნო და ენობრივი კულტურის სოციალური ღირებულებისათვის. ამ თვალსაზრისით პუნქტუაციისა და წერის ტექნიკის სხვა საშუალებების მართებულად მოხმარება ადამიანის ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

### ვერტილი

წერტილი ერთ-ერთი ძირითადი სასვენი ნიშანია. წერტილის დანიშნულებას აქვს ლოლიკურ-ინტონაციური საფუძველი. როგორც ცნობილია, მოღალობის მიხედვით გამოიყოფა თხრობითი წინადაღე-

ბა, რომლის დამთავრება წერასა და ბეჭდვაში აღინიშნება უსაკუთრებულით. ამრიგად, წერტილი: კომპლექსურად მიუთითობს, რომ აზრი დამთავრდა, თხრობითი წინადაღების ინტონაციაც; წერტილი გვაუწყებს, რომ ამ ნიშნის შესაბამისად უნდა წავიკითხოთ წინადაღება.

გადაიქუხა („შელის მუქრის ნაამბობი“);

ალიონმა აიწია. დედამიწა განათდა. („ელგუჯა“);

ხუთ წუთში მთელი ასეული ორ რიგად მოეწყო საგუშავოს ეზოში. („ნუ გეშინია, დედა!“);

დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენიდან პეპია, გავუშალე ქვეშ ფარაჯა, დაეუდე თავით უნაგირის ბალიში და დაეაწვინე.

(„გლახის ნაამბობი“):

ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი. („იავნანამ რა ჰემნა“);

რვა წლისა ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს („ჩემი თავგადასავალი“);

მარიამობის თვეში, ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანა ქმენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ აღმართშე, საიდანაც სწორი გზა იწყებოდა და ძალიან გაუკვირდა, რომ სოფო ჩვეულებრივ არ მოეგება და შიშით გული გადაიქანდა („მაგრანას ლურჯა“).

წერტილს ვიყენებთ იგრეთვე სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც ტექსტში მიმართავენ სიტყვათა და გამოთქმათა შემოკლებას:

ი. პ. მოსულიშვილი (ივანე პეტრეს ძე მოსულიშვილი);

და შემდგ. (და შემდგომი);

მაგ. (მაგალითად);

ა. წ. (ამა წლის);

ე. ი. (ესე იგი);

ე. წ. (ეგრეთ წოდებული);

და სხვ. (და სხვა);

და მისთ. (და მისთანანი);

შდრ. (შეადარე);

იხ. (იხილე);

ნახ. (ნახატი);

გვ. (გვერდი);

ტ. (ტომი);

გამოც. (გამოცემა);

ძვ. წ. (ძველი წელთაღრიცხვით);

ახ. წ. (ახალი წელთაღრიცხვით);  
 ობშ. (თხელება);

უურნ. (უურნალი) და სხვა.

P. S. — (პოსტ-სკრიპტუმ) — ტექსტის ბოლოში მინაწერი, რამეს ახსნა-განმარტება, მითითება და სხვა.

რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება წერტილით შემოკლებით წერის შაგალითები.

### კითხვის ნიშანი

კითხვის ნიშანი — კითხვითი წინადადების ბოლოში იწერება. სახელმძღვანელოს განმარტება: „კითხვითია წინადადება, რომელიც კითხვის შეიცავს. ასეთი წინადადებით მოქმედი მიმართავს თანამომავსაუბრეს, რომ მისგან მიიღოს საჭირო ცნობა, დაუდასტუროს ან უარყოს კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრი“.

ლოლიყურ-ინტონაციური საფუძველი აქვს კითხვის ნიშის მოხმარებას. გამოყოფა ორგვარი კითხვითი წინადადება: ერთი ისეთია, რომელშიც მოიპოვება საგანგებო კითხვის სიტყვა ან ნაწილაკი: განა, ხომ, ნუთუ, თუ, ა; ვინ?, რა?. რომელი?, სად?, როდის?, რატომ?, რისთვის? და სხვ. მეორე ისეთია, რომელშიც არ უჩევია საგანგებო კითხვითი სიტყვა ან ნაწილაკი.

კითხვითი წინადადება როგორიც უნდა იყოს, მისი ინტონაცია მკერეთრად განსხვავდება სხვა შინაარსის (მოდალობის) წინადადებებისაგან.

— ავთო!

— რა იყო, დადუნა?

— რა იციქრე, ჩემი წერილი რომ მიიღო?

— გამიხარდა?

— მეტი არაფერი?

— ძალიან გამიხარდა.

— რატომ? — („ნუ გეშინია, დედა!“).

ნეტა კალთვალა ხომ არ ჩამოვიდა? („არსენა მარაბდელი“).

— შენი სახელი?

— ვეფხია.

— ვეფხია კარგი სახელია, გვარი?

— ხალიბაური.

— როგორაო? ეგ როგორი გვარი გქონია?

— გონჯია?

— არა. გონჯი რად იქნება. მერე აქ რად ჩამოსულხარ, ვეფხია? („ვეფხია ხალიბაური“).

ვინა ხარ, ჩემო ძმაო, საიდან მოსულხარ („ზუშა“).

— რა დაგემართა, შვილო, ვეად ხომ არა ხარ? — ჰკითხა დედამ. („სიმონა“).

— მითხარი, შვილო, მითხარი: აბა, სად არის ალი? („ალი“).  
 — კიკოლა დღეს მქითხავთან წავიდა... ვნახოთ, ერთი რას იტყვის ი მქითხავი? — თქვა მეოთხემ. („ქაგანა“).  
 — ეს გინდათ ქალი ეთერი?  
 მე ნადირობას მივალო... (ხალხური „ეთერი“).  
 ვისთვის მუშაობს ეგ შენი მელავი  
 და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი? („მუზა და მუშა“).  
 სხვა მეფე დაგდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?  
 („ვეფხისტყაოსანი“).

### დახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი იშერება ძახილის (აგრეთვე ბრძანებითი) წინა-  
 დაფების ბოლოში. მაგრამ იმონაც მრავალფეროვანია ძახილის ნიშ-  
 ნის მოხმარება, რომ ერთ ვანმარტებაში მისი ასახვა შეუძლებელიც  
 არის. სახელმძღვანელოს ვანმარტება: „ძახილისა წინადადება, რო-  
 მელსაც თითო გრძნობა ახლავს. ასეთ წინადადებაში ვამოხარებულია  
 უარისება (განციფრება), იღტაცება, ნატერა, მუჭხარება, ზიშლი,  
 ზანანება და სხვ. ძახილის წინადადება წარმოითქმის მრავალფერო-  
 ვანი ძახილის ინტონაციით“.

ძახილის ნიშნის მოხმარების საფუძველი, როგორც ამ ვანმარ-  
 ტებიდან ჩანს. მრავალნაირია. ძირითადად, რა თქმა უნდა როგორც  
 მოიალობის ერთ-ერთ სახიობის წინადადების, საფუძველი  
 ლოლი-  
 კორ-ინტონაციურია. მაგრამ ძახილის ნიშნის მოხმარებაში უნდა აღი-  
 ნიშნოს აგრეთვე სტილისტიკურ-ემოციური ელფერიც.

საჭმეს ართოვებს ის ვარიმოებაც, რომ უკანასკნელ ხანებში  
 სინდაქსის სახიომძღვანილობში უკეთ ცალკე ვამოყოფილ „ბრძანე-  
 ბით წინათაღებას“. ძოში მიზანშეწონილი იქნებოდა. რომ „ბრძანები-  
 თ წინათაღებისათვის“ შემოეოთ ცალკე, ვანსხვავებული ნიშანი.

დავქმაყოთილთებით ჩიპობრივი მაგალითების მოყვანით .

გათენთა! შეერთიათ, შეერთიათ, შეერთიათ!

დროშები, ლროშები... ლროშები ჩარა!

(„დროშები ჩარა!“).

უნდა შეენიშნოთ, რომ „ძახილის ნიშანი“ და „მძიმე“ ხშირად  
 ერთნაირი თუნდებით მოიხმარება და სათანადო ვამარტლიბაც აქვს  
 მას. მაგალითაც, ისეთ მოიალურ საშუალებებში როგორიც არის  
 მართვა, ზოგჯერ ძახილის ნიშანს იყენებენ, ზოგჯერ კი — მძიმეს:  
 ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

— როგორც ჩანს, ამხანაგებო, მოგვიწევს დიდი სამუშაოების შე-  
 სრულება.

როგორც ალვნიშნეთ, მეტყველების მოდალურ საშუალებების  
ემოციურობის სიძლიერის გამოხატვა ძახილის ნიშანს ეჭავდა მოხარუ

ტაო, ტაო, ჩენო ტაო!

ქართლ-კახეთის მყვიდრო დაო! („ტაო“),

მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,

ფუ! შენს სამართალს. შენს სამსჯავროსა!

(„კაჭო ყაჩალი“).

გახ, როგორ დროს შიღალატე,

გაგიშყდეს გამჭედელია!

(„არსენას ლექსი“).

ხან ერთი ძირს, ხან მეორე...

ჰერი, ბიჭო კოტრიელა!

(„ზამთარი“).

რევოლუციურს, გერ არნახულს, გერ არგაგონილს,

გაშა! ამ ახალ საქართველოს, ვაშა! შენებას!

(„რევოლუციურ საქართველოს“).

— სალამო მშეიღობისა!

— აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი!

(„ოთარაანთ ქვრივი“).

— უსუსურმა ბავშვმა გამქურდა... აი, ტაი-ტაი-ტა!

(„სარჩონელაზედ“).

— ოჟ, ჰო, ჰო, ჰო! — გაიკვირვა ჩეჩენმა. („ელგუჯა“).

— აჟა, შე არ-დასარჩენო, ამოისხი და ჩიიცვი!

(„ოთარაანთ ქვრივი“).

— კარგი, კარგი, ბარაქალი! („სურამის ციხე“).

— არიქა, უშეელეთ! — დაუძახეს აქეთ-იქიდან („ალი“).

— მაშ, წალი, მოიყვნე! („ელგუჯა“).

— ბიჭოს!... მაშ ლეთის კაცი ყოფილია! („გლახის ნამბობი“).

— რა ბიჭი გყავს, კიკოლა, რა ბიჭი! — მხიარულად მიიძახებდნენ ხოლმე კიკოლის იქ მდგომი გლეხები. („ქაჯანა“).

SIC! (სიკ! ლათინური): ვეხვდება ტექსტში, რათა საგანგებოდ გახაზონ და ყურადღება გაამახვილონ აეტორის შენიშვნა-მითითებაზე.

SOS! — საერთაშორისო სიგნალი: მაგ., თუ გემს საფრთხე ემზრება, გადაიცემა ეს ნიშანი და ვინც მიიღებს, საშველად გაეშურება.

### პითევა-ძახილის ნიშანი

წერასა და ბეჭდვაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც წინა-  
დადების ბოლოში წერება როგორც კითხვის ნიშანი. ასევე ძახილის  
ნიშანი (?!). ასეთი შემთხვევები გამოინაკლისია, მაგრამ ერთვარი გა-  
მართლება მაინც აქვს. ლ. კვაჭაძე ასე ანაბათებს ამ ტიპის წინადა-

საქ. სსკ კ. გარეშეს

სახ. ლაპ. ჩესპერი.

ბ. ბათუმი. რამა

დებას: „წინადაღება ზოგჯერ კითხვასაც გამოხატავს და ომა თუ იმ გრძნობასაც. ასეთ წინადაღებას კითხვით-ძახილის წინადაღება ჰქვია. წინადაღების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის: კითხვისა და ძახილისა“ (თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, 46).

კითხვით-ძახილის წინადაღება ლოგიკურ-გრძნობითი ელფერის ისეთი შერწყმაა, რომ ან კითხვა სჭარბობს, ან რაიმე გრძნობა, მაგრამ გააზრუბა ისეთია, რომ მთქმელი ინტონაციის გამახვილებით იქმაყოფილებს თავის განწყობა-მიმართებას და წერაშიც ადასტურებს ამას, რათა მკითხველმა სათანადოდ ალიქვან წინადაღების მოლიანობა. საერთოდ, უნდა შევნიშვნოთ. რომ ზოგჯერ კითხვისა და ძახილის ნიშნების ერთად დასმა ძალზე სუბიექტურია და განზოგადებას არ ევემდებარება.

— მიღიხარ, მიღიხარ, გაბრიელ?! — მკითხა მღვდელმა დალონებით. („გლახის ნაამბობი“).

— მღვდელ! — დაიბლავლა საცოდავად გლახამი, — არ გებრალები შენი გაბრიელ?! (გლახის ნაამბობი“).

— ... ვარ ობოლი და, ვინ იყის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებას ჩემი სისხლით ხელებს?! („შელის ნუკრის ნაამბობი“).

### მრავალზორტილი

სასენ ნიშანთა ერთ-ერთი სახეობაა — მრავალწერტილი. ერთსა-დაიმავე ხაზზე პორიზონტალურად დასმული სამი წერტილი (...).

მრავალწერტილი აღნიშნავს ისეთ შეწყვეტას, რომ გადასვლა ერთი აზრიდან შემდეგზე თითქოს ნახტომისებურია, თითქოს შუალედი ან გაგრძელება მისახვედრი და გასაგებია. მრავალწერტილის საფუძველი ლოლიკურ-ემოციური ასპექტია უფრო ხშირად.

ოცი წლისა კიყოლა გუმბრის გზაზე გახდა... ამის შემდეგ თითქმის ყოველ სამს წელიწადში ერთხელ შიდიოდა გუმბარში მარილის მოსატანად... სამი-ოთხი პირობა ორპირშიაც წაილო ქირა..., შემდეგ შეირთო ცოლი... („ქაჯინა“).

განახევრდა ქართველობა...

მაგრამ მტერს კი სძლიერ მათ ღვთით...

(„თორნიერ ერისთავი“).

და უფსკრულს დასცექერს პირიმზე

მოღერებულის ყელითა...

(„სტუმარ-მასპინძელი“).

მრავალწერტილი იწერება სხვა ნიშნებთან ერთადაც, უმეტესად კი ძახილის ნიშანთან.



— ა, ბედშავ ვაყაო!.. სულ არ დაუხვრეტიათ!.. ამისათვის განვითარება  
ლა დედის ძუძუ ალალი!.. („ელგუჯა“).

არა, შენ ჩვენთან დარჩი, იქნები...

ჩვენი ცხოვრება ვიძობს, ვიშვილებს!  
(„მუზა და მუშა“).

მოდალურ სიტყვებთან და გამოთქმებთან, განსაკუთრებით კი  
შორის დებულებთან ხშირია მრავალწერტილი სხვა ნიშანთან.

გადაწყდა, უნდა შევცვალოთ გზები...

ძელო თბილისო... გროვებ... ნახვამდის!

(„გამოთხვება ძელ თბილისთან“).

ბიჭოს!.. მაშ ღეთის კაცი ყოფილა!..

(„გლაბის ნაამბობი“).

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!

დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, გალობს ბულბული?  
(„სადლეგრძელო“).

განახლდა გული... დღეს ის ალარ ვარ,

რაც უწინ ვიყავა... ფერი ვიცვალე...

გზა დამიცალე, შავო ბურუსო,

წყალო ღამევ, გზა დამიცალე!

(„განახლდა გული“).

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მოსაზრებით  
ტექსტში გამოტოვებულ უნდა იქნას სიტყვა ან გამოთქმა: მავალითად:  
ან გვეირდება, უწმაწურია ან სხვა რამ; მამის გამოტოვებას მრავალ-  
წერტილით აღნიშნავენ. (უნდა შევნიშნოთ, რომ ეს შემთხვევა ზოგ-  
ჯერ აღნიშნულია არა სამი წერტილით (...), არამედ წერტილების დას-  
მით (რამდენიმე წერტილი). ასეთ დროს ეს საშუალება უფრო წერის  
ტექნიკის სფეროს განეკუთვნება.

## გპიგ

მძიმე ერთ-ერთი ძირითადი სასვენი ნიშანია უნდა აღინიშნოს,  
რომ მძიმე (,) მოხმარებულია შერავალმწმრივი დანიშნულებით. ეს არის  
იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დარღვევები სასვენი ნიშნების მოხმა-  
რების სფეროში უფრო სშირად „მძიმესთან“ არის დაკავშირებული.

მძიმის გამოყენებას უმრავლეს შემთხვევაში მოეპოვება სინტაქ-  
სური საფუძველი, აგრეთვე ლოგიკურ-სტრილისტუიკრი, ინტონაციურ-  
გრძნობითი საფუძველი, — განსაკუთრებით მოდალურ სიტყვებთან და  
გამოთქმებთან და სხვ.

მძიმის მოხმარების შემთხვევები არსებობს: მარტივ, შერწყმულ  
და რთულ წინადაღებებში. მძიმის მოხმარების დარღვევები გამო-  
წევულია იმით, რომ თეორიულად არ იციან მისი ღანიშნულების-  
სინტაქსური და სხვა ნასიათის საფუძველები. წინადაღებათა აგებუ-



ლების, შედგენილობის გაურკვევლად მძიმის მოხმარებელი მოვარდის ცოდნას ვერ დავეცულებით. ეს გარემოება კარგად უნდა ანსივლებულველ ძალის მატერიალურ მეთოდიების აეტორებს.

მძიმე იმ შემთხვევაში იხმარება მარტივ წინადადებაში, თუ მასში მოიპოვება ე. წ. განკერძოებული სიტყვები და გაძოთქმები (ე. ი. მოდალური საშუალებები). ასეთ შემთხვევებში მძიმეს მკვთრად გამორჩეულ განმაცალკევებელი ფუნქცია ეკისრება და სტილისტიკურ დასაბუთებას ექვემდებარება.

### მიმართვა

შედექი, მუზავ, შენ აქაც სცდები,  
ზღვა არ დამარხავს შენს ჩანგის სიმებს!...  
(„მუზა და მუშა“).

არ დაიდარდო, დედაო,  
ნუ მიეცემი სევდასა,  
დღეო, გადიდდი, გადიდდი,  
შეილი ეყრება დედას!...  
(„არ დაიდარდო. დედაო...“).

ზეიადაურო, ძმობილო,  
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!  
(„სტუმარ-მასპინძელი“).

### განკერძოებული განსაზღვრება

მიხვედი, გაჩნდი კალოზე .  
მწირი, პერანგის ამარა...  
(„სიმღერა დავით გურამიშვილზე“).

მოყმემ თქვა, პირშიშველმა,  
შიბნ გავიარე ქლდისანი...  
(„ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“).

სოფლისა გაღმა გორია,  
დამწვარი, ქვიშიანია.  
ბევრი წევს იქა ვაჟქაცი,  
გულლომი, ჯიშიანია.  
(„სტუმარ-მასპინძელი“).

### განკერძოებული გარემოება

გიოს თქმით, წუხელ. ახალ ნავახშმევს, ათიოდე შეიარაღებული კაცი მღვდელთან მისულა და ერთობის სახელით საყდრის გასაღები მოუთხოვია („ტარიელ გოლუა“).

შეუაგულ ტყეში, ერთ თითქმის მიუვალ ნაპრალში, გამოჟაჭაბულები  
ში, ისხდნენ ძალგაზოდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადლის ამორფუა  
ნებდნენ. („ბაში-აჩუკი“).

გაღმა, მარაბდის ზემოთ, თრიალეთის თეორი ქედი ბზინავდა.  
(„არსენა მარაბდელი“).

მეორე დღეს, სისხამ დილაზე, გამოსულიყო ზაალ აივანზე და  
ჭალებს გადაჟურუბდა („ბაში-აჩუკი“).

იმავე დღეს, გლეხის ვახშმობის დროს, ამ მეურმეებმა ქალაქის  
პირში გამოუშვეს ურმები („სარჩობელაზელ“).

## დანართი

აზალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს  
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

(„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“).

მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწევარ.

(„კაპიტანი ბუხაიძე“).

თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი...

(„ვეფხისტყაოსანი“).

ჩვენ, ბალღები, ამ უცნაურ სანახაობის მოწმენი. შემკრთალები  
ვიყავით („ნატერის ხე“).

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი.

(„ვეფხისტყაოსანი“).

## ჩართული

— კი, რასაკვირველია, ყველაფერი ასე სასიამოვნოა, სოლომან  
ჩემო. მარა... — და ბესარიონმა სიტყვა გააგრძელა („სოლომან მორ-  
ბელაძე“).

— ვაჟო, აგი ალარ ხუმრობს, მგონია! — თქვა დავითმა („სიმო-  
ნა“).

რა თქმა უნდა, მარიამის ბრალია. ასე რომ შეაგვიანდა.  
(„გვადი ბიგვა“).

ჩემს ვაუკაცობაში ,უნდა მოგახსენოთ, ბევრ ირემს უზიღნია კის-  
რით ჩემი ისარი! („ნატერის ხე“).

სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია („ოთარაანთ ქვრივი“).

ერთი სიტყვით, ესენი ყველაფერი მომცა. („გლახის ნამბობი“).

შენმა სიცოცხლემ, მოცო არა მაქვს. („გლახის ნამბობი“).

შენც არ მომიკედე. ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს.

(„მგზავრის წერილები“).

## მიგადითი ნაშილაკი

— კი, კი, შვილო... წავალ... ხომ არაფერს მიმაღვათ და... დედა-შვილობას, არაფერი დამიმალო... („ტარიელ გოლუა“).  
 — ჰაი, ჰაი რომ აგრეა, — დაუმოწმეს სხვებმა.  
 („ხევისძერი გოჩა“).  
 — ჰო, მე კარში გავედი მაშინ, მემრე რა იყო?  
 („სურამის ციხე“).  
 — დიალ. დიალ. ალექსანდრე-ჯან! ჩემმა ისაკმა მოიგდო ხელში კარგი ადგილი! („სოლომონ ისაკის მეჭდანუაშვილი“).

### ზორისდევზული

ვა. სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზე გვირსა!  
 („ვეფხისტყაოსანი“).  
 ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გველირსოს ჩვენ  
 გალვიძება!? (ელეგია“).  
 ჸოი, ადგილნო, არაგვის პირნო, მობიბინენო, შვებით მომზირნო.  
 („ბედი ქართლისა“).  
 გარდაიცვალა ასტრიხანში ვახტანგ მექექსე,  
 ვაი, რა ბოძი, რა მაშვრალი და რა მელექსე.  
 („სიმღერა დავით გურამიშვილზე“).  
 ექეპეპე... — დაიყიდინა მთელ სოფელზე ომახიანად ვიღაცამ.  
 („ძალლი“).  
 ექრანს მესამედ ვუცემდით და ვწუხდით პატარები,  
 ეჲ, ერთხელ მაინც გადარჩეს, ვერ ძოკლან ჩაპაევი.  
 („ჩაპაევი“).

— ხა, ხა, ხა... გადაიხარხარა ბეკინამ და სიტყვა გააწყვეტინა  
 პლატონს. — შვილი გეყოლებაი... ხა, ხა, ხა!.. რაღა დროს ჩემი შვი-  
 ლია, შე კაცო! ხა. ხა. ხა! („სამანიშვილის დედინაცვალი“).  
 უუ!.. ჸ! ჸ!.. — უეცრად წამოიკენესა ბერიშ და ქვითინი მორთო...  
 („მიწაა!“).  
 ვაჲ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად. („ვაჲ. დრონი, დრონი!!!“).  
 — სუ!.. თუ ღმერთი გწამს, ჩუმად!.. — უთხრა გაიოზმა.  
 („ტარიელ გოლუა“).  
 ნუ... ნუ.... გაიოზ... ამაზე მერე... მერე, თუ კაცი ხარ!..  
 („ტარიელ გოლუა“).  
 — არიქა, მაგრა შეკარით. არ დაანახოთ საწყალ დედაკაც! —  
 დაუძახეს გარს. („სურამის ციხე“).  
 ჟე, მთებო გოლიათებო, გააკეთ ქლდეთა კარები.  
 („მწყემსის სიმღერა“)

ჩე!.. ეს ვისი ხმაა? — ჩაიჩურჩულეს ფოთლებმა... („ფოთლების შეცველება და, თუ ღმერთი გწამს, წამიკითხე. („გლახის ნამბობის“). დაუკვირდი, კარგო, ამ ამბავს, ბრძნულია იგი და ძველისძველი.

(„გამიგონია, მოვარიან ლამეს“).

კიდევ უფრო რთულდება მძიმის მოხმარების წესები შერწყმულ წინადადებაში. შერწყმული წინადადების განმარტების ფორმული-რება ამას კარგად გვიჩვენებს: „შერწყმული ჰქვია წინადადებას. რომელშიც მოიპოვება რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ერთგვარი წევრი“.

ავაგოთ ასეთი წინადადება: ხვალ სააქტო დარბაზში მოწვეულია თანამშრომელთა ხერთო კრება. ამ წინადადებაში ორი ამხსნელია (დრო და ადგილი). მაგრამ ეს ამხსნელები ერთგვაროვანი წევრები არ არიან. ამის გამო წინადადება მარტივია; ეს წევრები ერთმანეთისაგან მძიმით არ გამოიყოფა; თუ იქნებოდა ასე: ხვალ, პარასკევე, 25 მარტს, დღის 15 საათზე სააქტო დარბაზში მოწვეულია თანამშრომელთა ხა-ერთო კრება, — მაშინ დროის გარემოების გამომხატველი ერთეულები ითხევერ არის გამოირებული; მაშასადამე წინადადებაში მოიპოვება ოთხი ერთგვაროვანი წევრი. ერთგვაროვანი წევრები ერთმანეთისაგან მძიმით (.) გამოიყოფა.

ავაგოთ ასეთი წინადადებაც: დედამ ხელით მოუქსოვა შეიღლ წინდები. წინადადებაში სამი დამატებაა: უბრალო (ხელით), ირიბი (შეიღლს), წინდები (პირდაპირი); წინადადება მაინც მარტივია. ვინაიდან დამატებები ერთგვაროვანი არ არის, — ისინი ერთმანეთისაგან მძიმით არ გამოიცალდება.

შერწყმულ წინადადებაში ზოგჯერ მოიპოვება განსაკუთრებული სიტყვები და გამოთქმები და, ცხადია, მათ თავთავისი კუთვნილი ნიშ-ნები სჭირდებათ, უმეტეს შემთხვევაში მძიმე (.) შერწყმულ წინადა-დებაში ზოგჯერ შეგვეხდება: რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმე-ნელთან, რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან. რამდენიმე პირდაპირი დამატება ერთ შემასმენელთან, რამდენიმე ირიბი დამატე-ბა, რამდენიმე ერთგვარი მნიშვნელობის უბრალო დამატება, რამდე-ნიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება, რამდენიმე ერთგვაროვა-ნი განსაზღვრება; ისიც შეიძლება, რომ შერწყმული წინადადება იყოს შერეული სახეობის ყველა ასეთ შემთხვევაში მივმართოვთ მძიმის (.) საშუალებით ერთგვაროვანი წევრების განკერძოებას, თუ, რა თქმა უნდა, მაჯგუფებელი კავშირები და, თუ არ მოიპოვება.

აღლდა მთელი სოფელი:

ბალლი, კაცი და ქალია. („სტუმარ-მასპინძელი“).

— არა, წამლეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ლამე თავის ძილითა



და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარდებულების ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლანითა! („შგავოს წერილები“).

ამიტომაც გამიგონეთ,  
გესმათ ჩემი ნაუბარი,  
— შეიძინეთ, შეიძინეთ,  
შეიძინეთ შეგობარი! („მეგობარი“).  
ზამთრის სასახლე, მდინარე ნევა,  
ქუხილი ცის და მიწის რყევა.  
ალმოდებული, მრისხანე, წმინდა,  
უკვდავი ცხოასჩვიდმეტი წელი! („მამა“).

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთითა და ღმრთულებრ ცხოველი,  
მშობლიური, ტებილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი!  
(„კეცხისტყაოსანი“).

უველავერში კაი ყმაწვილი კაცი იყო: მშვენიერის სანახაობისა,  
გულუხვი, გულმარდი, გიფმაჟი და ვაჟკაცი. („გლახის ნაამბობი“).

დედამ შეიის ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი,  
ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალი,  
ორი წყვილი თავისი ხელით მოქსოვილი ჭრელი წინდა, ახლად  
ნასყიდი ყაითანებით მორთული საცვეთები. ბაზარში განგებ შეერილი  
ყაითნებით დახლართული შეემოური ქალამნები. („ოთარაანთ ქერივი“).

რთულ თანწყობილ წინადადებაში მოპოვება: მაჯგუფებელი,  
მაცალევებელი, მაპირისპირებელი კავშირები (შეიძლება უკავში-  
რობი); ეს საშუალებები თითქოს ისეთივეა, როგორც შერწყმულ წინ-  
ნადადებაში, მაგრამ ისინი შერწყმულ წინადადებაში ცალკეულ წევ-  
რებს (სიტყვებს) შორის არიან, ხოლო რთულ თანწყობილ წინადადება-  
რებს — ცალკეულ წინადადებებს შორის. ამიტომ არის, რომ შერწყმულ  
ში — ცალკეულ წინადადებებს „და“ კავშირის წინ მძიმე არ დაისმის, ხოლო თან-  
წინადადებაში „და“ კავშირის წინ მძიმის დასმა შეცდო-  
წყობილ წინადადებაში „და“ კავშირის წინ მძიმის დასმა შეცდო-  
მად არ უნდა ჩაითვიალოს: ცამ მოიწმინდა, და მზის შუქმა იქაურობა  
გაანათა.

მოღრუბლული დილა იყო, და უსიამოვნო ქარი ქროდა.

(„ჩევენი ქვეყნის რაინდი“).

დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძნი, დაღუღდა მაჭრები.

(„ოთარაანთ ქერივი“).

ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ქრებიან.

(„საღლეგრძელო“).

მეცნიერების და მწიგნობრობის

აქ თინთება ერთ დროს ლაპიარი,

და შეილიშვილთა სხივებს მიაფენს



სოფელს გავხედე. ოდებიდან კვამლი ამოღიოდა თეთრბოლქევ-  
ბად. მაძლები ყიოდენ, ძროხები ბლაოდნენ, თხები პეტელობდნენ,  
თიქნები კიყინებდნენ, ქათმები კრიახობდნენ, კონცხოულაზე უშველუ-  
ბელი მზე შემდგარიყო... უცებ სხეული სითბოთი ამევსო და უურებ-  
ში სასიამოვნო ზარმა დარეკა. („ძალლი“).

რთულ ქერწყობილ წინადადებაში ზოგერ ასებობს ორი ან ორ-  
ჟე მეტი წინადადება (მარტივი, „შერწყმულიც და სხვა). მაქვემდება-  
რებლის ოოლს ასრულებენ: კავშირები ან საკავშირებელი სიტყვები.  
რთული შემადგენლობის წინადადებები ერთმახეთისაგან შძიმით გამო-  
იყოფა. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, როდესაც მთავარი  
და დამოუკიდებელი წინადადებები აღგილ-მოხაცვლებენ. ეს კი იწ-  
ვევს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კავშირები და საკავშირებელი სი-  
ტყვები იწყებენ შთელ რთულ წინადადებას: რომ თავის დროზე მო-  
სულიყავით, ძალზე სასიამოვნო სურათს ნახავდით; ან არის შემთხვევა,  
როდესაც კავშირი, რომელიც დამოკიდებულის მხარეზეა, შიგ წინა-  
დადებაში ძოექცევა: შენი ბარათი რომ მივიღე, უკვე დამთავრებული  
შქონდა საქმე. არის შემთხვევები; როდესაც დამოკიდებული წინადა-  
დება მთავარის შიგნით აღმოჩნდება. ცხადია, შძიმის დანიშნულება  
ასეთ შემთხვევებში კიდევ უფრო იზრდება, და წინადადების აგებუ-  
ლების ხინტაქსური ანალიზი უზრუნველყოფს შძიმის შართებულა დაწერას.

ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და ტანთჩაცმული იყო, რომ მზემ  
მაშინ ძლივს ამოყო თავი მთის წვერიდან და გადმოხედა ქვეყანას თა-  
ვის ერთად-ერთი ოქროსავით ბრჭყვიალა თვალითა. („ოთარაანთ ქვრი-  
ვი“).

გზა გამიყაფა, მაგრამ უამმა მიმუხთოლა და არ დამაცალა ზედ გა-  
მევლო!.. მომიტანა კლდემ ქვეშა და, ხომ ხედავ, ისე ვქრები, როგორც  
ციცხლი, როცა გარედან ჰაერი არა შველის!. (.გლახის ნამბიბი“).

აი, ხედავთ, მოდის მსხვილრქიანი საქონელი, მოსდევენ მიზა-  
დილი მწყემსები, რადგან ამათ უფრო დიდი შეკავება უნდათ მინ-  
დოოში, რომ არ წააჩინონ რა. (.ღამის მეხრე ცეცო“).

სითბომ. ცეცხლმა სიცივე დაავიწყებინა სოხიას. მართალია, მაგ-  
რამ წარსული და გაგონილი ზედ დაერთვნენ წინანდელ განაგონს, ნა-  
ნას უხალისო სურათებს და ამ კარჩაკეტილ სოფლის ზამთრულ ცხოვ-  
რებაში შუდამ მის გონებას ეხვევოდნენ, მასთან განუმეორებლად იყე-  
ნენ, ესეოდენ და, თითქოს მისი უინი სკირდათო, უცნაურად იშლებოდ-  
ნენ, იმგვარად უხატავდნენ კველაფერს, რაც მის გარშემო იყო, რომ  
მათგან დაჩაგრულს გული უკვდებოდა და სული ეხუთებოდა. („ქამუ-  
შაძის გაჭირვება“).

გაგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქაურობას თვალები და ონისე,



ეროვნული  
მუზეუმის

რომელიც ისევ იმ ადგილზე გაქვავებულივით იდგა, დაინახა. მაგრა მეტად გამოიყენებოდა ბერი გოჩა).

ომეცა სოფელი „მწირი“ ქალაქიდან სულ ხუთ-ექვეს ეკრძახ იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე შახძილის გავლაც დღეში ორჯერ. მძიმე ბარგით ზურგზე ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრ-ჯერ შინ დაბრუნებული მაგდანი თორი-სამი საათით უღონოდ ეგდო დერეფანში და თავს დასჩაოდნენ თავისი პატარები. („მაგდანას ლურჯა“).

— ის ჩემი ნათლია, ღონე რომ მომცა, ნეცაი ერთი მაჭიდა, მეცადა, რა ვაჟკაცია!.. (ხალხური „ამირანი“).

აღარ გაათავებ? — მყითხავს მოწყვენილი, და იქნება გაჭავრებულიც, შეკითხველი. — როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რით? იშით, რომ ლუარსაბის ბელნიერება დაირღვა. თუ მაგისთანა მტკიცე ბელნიერებაც დაირღვა, მაში რაღა ყოფილა დაურღვეველი ძვიყანაზე? — დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მყითხველი. („კაცია-აღამიანი?“).

ტარიელ გოლუამ, რომელსაც აქამდის ხელები შევლებული ჰქონდა ბაჩუას ტანზე და რომელიც სულის ღრმა შეკრთმით განიცდიდა მომაკვდავის უკანასკნელს, მისთვის გაუგებარ შფოთვას, უცბად იგრძნო ბაჩუას გარშემო დანთხეული, ყოველ შხამზე უფრო ძლიერი და საშინელი სიკვდილის ცივი ამონასუნოქი. („ტარიელ გოლუა“).

### შერტილ-მძიმე

შერტილ-მძიმეში ერთ ნიშანად არის გაერთიანებული შერტილი და მძიმე: შერტილ-მძიმის მოხმარება გვხვდება როგორც შერწყმულ, ასევე რთულ წინადაღებაში.

შერწყმულ წინადაღებაში მეტწილად მაშინ, როდესაც ჩამოთვლა არის სხვადასხვა სახეობის მონაცემების ერთეულების შაგალითად: ბიბლიოთეკაში შეიძინა დიდი რაოდენობის ლიტერატურა, მათ შორის: მარქსის, ენერლისის, ლენინის აქადემიურად გამოცემული ტომები; პუშკინის, დოსტოევსკის, გორკის, ილიას, ავაკის — პოზაული ნაწერები; მათემატიკა-ასტრონომიის სფეროდან: მუსხელიშვილის, ვეკუას, ხარაძის და სხვათა წიგნები.

შერტილ-მძიმე რთულ წინადაღებაში მოხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ცალკეული ნაწილი, ერთგვარიად მაინც, დასრულებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს და გარკვეული მიმართება აქვთ ერთმანეთთან: „მე იმ ჩეუბის დროს იქ ცესტრებოდი; გული მერჩიდა და მიწევდა დასახმარებლად, მაგრამ რატომლაც შევიკავე თავი“. (თითქოს „შერტილ-მძიმის“ ადგილზე რომ მარტო შერტილი ან მძიმე დაწერილიყო, არაფერი დაშავდებოდა!).

უნდა შევნიშნოთ, რომ რატომღაც (შეიძლება სასტამშაბურებულების ინტერესების შესაბამისად (?), თანდათან ნელღება ინტერესი „წერტილ-მძიმისადმი“. ახლა ჩემ წინ დევს ერთი ცენტრალური გაზე-თი: მისი ერთი გვერდი მთლიანად უკავია ფრიად საინტერესო სტა-ტიას. რომელშიც შესაშური სისწორით არის მოხმარებული პუნქტუა-ციისა და წერის ტექნიკის სხვა საშუალებები; საგანგებოდ დავძებნე „წერტილ-მძიმე“, მაგრამ ერთგანაც კი არ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ამ ნიშნის რამდენიმე აღგილას გამოყენება, მაგრამ საჭი-როდ არ მიუჩნევიათ.

თებერვლის საღამო იყო; წვიმაში ხანდახან თოვლ-კყაპს ურევ-და; ქარს ზუზუნით აპქონდა წვიმა სახლის კედელზე; ზოგიერთი სახ-ლი სახურავამდე დაესველებინა. („სიმონა“).

მხე საშუალდეოზე აიმართა; საქონელი გამოუშვეს; დღის მეხრე-ებმა ჩარეკეს წყალზე; გუთნისდედა ღამის მეხრეებით პანტის ქვეშ გადავიდა.

(„ღამის მეხრე ცეცო“).

## ორწვერთილი

ორწვერტილი იწერება ვერტიკალურად (:). ორწვერტილს გარკვე-ული დანიშნულება მოეპოვება.

ორწვერტილი იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც განმაზოგადე-ბელ სიტყვას მოჰყენება ერთგვარი წევრები;

„აქა-იქ თახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მა-გალითებრ: ტალახიანი ყარაბალული თეთრი წალები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩარეში მოხარშუ-ლი მყრალი ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“.

ორწვერტილი მაშინაც დაისმის, თუ ერთგვარი წევრების ჩამო-თვლა არის მოსალოდნელე:

„ამ მიწებში ეთესა: პური, ქერი. სიმინდი, ლობიო, დიკა, მუხუ-დო, შვრია, ფეტვი. უგრეხელი და სხვ.“.

ორწვერტილს წერენ რთულ წინადადებაში, თუ წინადადების ნა-წილი მიხეზეს შინაარსით უკავშირდება წინა მონაცემს:

„ზამთრობით (ვერხვი) ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მთის ქა-რიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით“. ,

დამოწმებული სხვათა სიტყვები ორწვერტილით გამოიყოფა ტექს-ტიდან; ჩვენი სახელოვანი პოეტი დავით გურამიშვილი წერს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატყბილდების“.

## ჭერისა და გეორგის თეატრის საზუალოებები

წერასა და ბეჭდვაში არის ისეთი საშუალებები, რომლებიც არ ჩაითვლება სასვენ ნიშნებად; ასეთი საშუალებები უფრო წერისა და ბეჭდვის ტექნიკის სფეროს განეკუთვნება. რა თქმა უნდა. მათი მოხმარების საფუძველი ტექსტის სინტაქსურ ანალიზს ექვემდებარება, მაგრამ „სასვენი ნიშნების“ დამახასიათებელი ინტონაცია აკლიათ.

### ტიტო

ტიტო არის მოგრძო ხაზი, რომელსაც პორიზონტალური მდებარეობა აქვს. ტიტოს მრავალმხრივი გამოყენებითი დანიშნულება მოცვევება წერასა და ბეჭდვაში. ტიტო მკვეთრად შესამჩნევია დიალოგის ხერხით გადმოეცმისას.

პერსონაჟების ერთმანეთთან საუბარი აბზაცებით იწყება, მაგრამ ეს არ არის ჩევულებრივი (ავტორისეული) აბზაცი, რომელიც მხოლოდ შეწევით დაწყებას გულისხმობს, არამედ ისეთი, რომ შეწევის აღგილზე ტიტოც არსებობს.

— დათიკო! სად მიგყევარ? ნუ გამწირავ, შეიბრალე შენი გაბრი-ელი!..

— წყალსაც წაუღიხარ.

— გოგოს მარტო მე უნდიგარ, დათიკო! ღმერთთან ცოლ-ქმრობის პირობა მიგვიცია...

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თქვენი პირობაც.

— დათიკო! შენ შენს ბედისწერას აუტანიხარ.

— დამეკარევე აქედან! („გლოხის ნამბობის“).

დიალოგის შემთხვევაში მოსაუბრეთა ნათქვამს ზოგჯერ თან ახლავს ავტორისეული რაიმე ახსნა-განმარტება. ასეთ დროს პერსონაჟის სიტყვები მთავრდება თავისი კუთვნილი სასვენი ნიშნით და მას კრძალებს ტიტო (—), რათა მკერთალ გამოცალავდეს ავტორისეული სიტყვები პერსონაჟის ნათქვამისაგან.

— ვაი, ნეტავი ახლა ჩემი თამრო დამიანევა, — მოჰყევა ისევ პენია. — ნეტავი ერთი კიდევ თვალით მაჩვენა, რომ სული ტყბილად აამელია! („გლოხის ნამბობის“).

შენიშვნა, აქ ერთად ჩანს მძიმე და ტიტო, მაგრამ ეს არ არის მძიმისა და ტიტოს მოხმარების შემთხვევები (ამაზე სხვა ადგილზე იქნება საუბარი). აქ „მძიმე“ პერსონაჟის სიტყვის ბოლო ნაწილში მოხვდა, ხოლო „ტიტო“ აცალებებს ავტორისეულ სიტყვებს.

არის შემთხვევები, როდესაც სტრიქონში პერსონაჟის სიტყვები ასე მთავრდება, რომ „ტიტო“ ვეღარ თავსღება იქვე. და შემდეგ სტრიქონზე გადააქცით იგი. გარეგნულად ჰგავს პერსონაჟის სიტყვის ოსაწყისს; ასეთ შემთხვევას უნდა ვერიდოთ.



ტირე წინადაღებაში მოხმარებულია გამოტვებული კატალოგით და მისამართით წევრის ადგილზე; ასეთ შემთხვევაში წევრი იგულისხმება: „შველები არჩევები მოჰყვნენ, არჩევებს — ირმები, ირმებს — გარეული ლორები, ლორებს — დათვები და სხვა“. (ვაჟა, სახელმწიფო მაგალითი).

ზოგჯერ ტირე განმაზოგადებელია რამდენიმე წევრის:

ამ დროს ქალი კაცი, დიდი, პატარა — ყველა მოუსვენებლად მუშაობს. სოფელში თითქმის სახლის მცველიც აღარ რჩება — ყანაში მიდიან. („სიმონა“).

ტირე ვინწეს ნათქვამში სათანადო მიზანდასახულებაზე მიუთითებს: მაგალითად: „ერთ დღეს სიმონამ თავის ცოლისძმისას გაიარა. ყანაში უნდა წაეყვანა პავლია“. აქ ორწერტილია, მაგრამ ტექსტში, საიდანაც მოყვანილია ეს წინადაღება, ორწერტილის ნაცვლად ტირეა: „ერთ დღეს სიმონამ თავის ცოლისძმისას გაიარა — ყანაში უნდა წაეყვანა პავლია“.

ტირე მიანიშნებს მიზეზსა და შედეგზე:

მე კი მრტვენოდა ჩემი ცრემლისა, —

ჩემს ამხანაგებს გავეძეოდი...

(„კაკო ყაჩალი“).

ტირეს ვიყენებო სიტყვის მორფოლოგიური ანალიზისას: კაც-ი, კაც-ებ-ი.

1988—1989 სასწავლო წელი აქ შეიძლებოდა დეფისიც, მაგრამ ახლოს აღმოჩნდებოდნენ წლები, — სჯობს ტირე.

ტირეს საჭიროებისამებრ და თავისებურადაც იყენებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი, მაგალითად, მათემატიკა, და სხვა.

— შორს, შორს!.. დაიძხა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა: — სისხლი. ხანგალი!.. შვილი, შვილი!.. რა იქნა ჩემი შვილი?! — ძალზე შეჰკიცელა და ვეფხვივით ღრიალი დაიწყო. („ხევისბერი გოჩა“).

— არაო, — სტუმარი ეტყვის, —

არ მინდა ლეიბ-საბანი. („სტუმარ-მასპინძელი“).

შენ —

სისხლო ჩემო —

შენი დინება

ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია. („შენ, სისხლო ჩემო“).

## დეფისი

დეფისის შემცველელი ტერმინი ქართულში არა გვაქვს; თუმცა გვხვდება ასეთი შემცველელი: „შეახაზი“, მაგრამ პრაქტიკაში დეფისი დამტკიცდოდა. დეფისი ტირეზე უფლრო პატარა ხაზია, იწერება ჰორიზონტალურად. ტირე და დეფისი ძირითადად განსხვავდებიან იმ-მხრივ, რომ ტირე უმეტესწილად სიტყვის გარეთ მოსხებარი ნიშანია, ხოლო დეფისი — სიტყვის შეგნით. სასტამბო საქმიანობაში თავ-თავისი ნიშნებია განკუთვნილი ტირესათვის და დეფისისათვის (ხელნაწერში დეფისზე მითითება ასე აღინიშნება —, ხოლო ტირე ასე — დეფისის დანიშნულება მრავალაზროვანია (სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანის პირობითი ნიშანი გარეგნულად ჰგავს დეფისს, მაგრამ ამ სფეროს აჩ მიეკუთვნება)<sup>1</sup>.

დეფისი გამოყენებულია ორ და ორზე-მეტ ცნებიან კომპოზიტებში შემადგენელი ფუძეების გამოსაყოფად.

მდივანს მზადა აქვს ქალალდი.

საწერ-კალამი, მელანი („თორნიკე ერისთავი“).

პოემსაში ქვებზე ხატქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე („მგზავრის წერილები“).

ვით მიუსია მიწას ქარ-წვიმა („სიმღერა დავით გურამიშვილზე“).

დეფისით გამოყოფა სხვათა სიტყვის ნაწილაკები: მეტქი, თქო, — აჩ ქარგა-მეტქი, არა! („სიმონა“).

ზოგჯერ ნაწილაკიც — კა.

სანთელ-საქმეველი თავის გზას აჩ დაკარგავს-მეტქი, აკი არც დაკარგა („გლახის ნამბობი“).

უთხარი, ძალიან დიდი საქმე მაქვს, უეჭველად ამაღამ ჩამოდითქვა (სახელმძღვანელოდან).

დედაშენს უთხარი, ერთი პური გვასესხე-თქო (სახელმძღვანელოდან).

მეტი სიზუსტისთვის დეფისი მოიხმარება ასეთი შემთხვევებისათვის:

„ვეფხისტყაოსან“-მა დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზე”; მაქსიმ გორკის „დედა“-ს გატაცებით კითხულობენ მშრომელები.

დეფისი მოხმარებულია რიცხვების წერის დროს: მე-100, 37-ე, 94-ე, მე-500; ხუთ-ნახევარი კილო; 2-ჯერ, 3-ზე მეტი; 1-ლი მაისი.

სიტყვების გრამატიკული ანალიზისას, ხარ-ი, ხარ-მა, ხარ-ს; ხელ-ი, ხელ-ებ-ი.

<sup>1</sup> ალ .ფოცი შვილი. ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, 1979, გვ. 149.



შეიძლება, რომ ზოგჯერ ბეჭდვაში ერთმანეთს შეენაფილი და დეფისი, მაგრამ ამას თვალსაჩინო დარღვევა არ მოყვება.

## ურჩილები

ფრჩხილები წერისა და ბეჭდვის ერთ-ერთი საშუალებაა. ფრჩხილები ერთსა და იმავე ხაზზე პირშექცევით მოხმარებული ერთნაირი ორი ნიშანია: (—), მოხმარებული არის აგრეთვე შეორე სახეობის ფრჩხილები: [—]. — ამათ პირობითად დიდი ან კვადრატული — ეწოდება.

კატას თათებზე აქვს ბრჭყალები, ხოლო აღამიანს თითებზე — ფრჩხილები.

წერის ან ბეჭდვის დროს ზოგჯერ საჭიროა, რომ ძირითადი ტექსტის სათანადო ადგილს დაერთოს რაიმე სახის ახსნა-განმარტება, მითითება, დაუსტება და სხვა ასეთი დანამატები გამოცალებები და ფრჩხილებში თავსდება.

„ერეკლე მეფის „პირველი სანდო და საყვარელი კაცი“ გარსევან კავშირიდე ჭერ კიდევ 26 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც უდიდესი ისტორიული დავალება შეასრულა — ხელი მოაწერა 1783 წლის გეორგიევსკში (ჩრდილო კავკასია) რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის პირობას“ („ტრაქტატს“ — ხელშეკრულებას)... (სახელმძღვანელოდან).

ვაჟას ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. იგი სამკურნალოდ ლაზარეთში (მექანიზმით თბილისის სახ უნივერსიტეტის I კორპუსი), დააწვინეს (სახელმძღვანელოდან).

პრაქტიკოსმა მასწავლებლებში კარგად უწყიან. რომ მოსწავლე ზოგჯერ ხედება თვავის შეცდომას ან ზედმეტად მოხმარებულ სიტყვასა და გამოთქმას. იგი ცდილობს. მოსპონს შეცდომა იმით, რომ ფრჩხილებში მოათავსოს. ცხადია, ეს არ არის საკმარისი, რადგან ფრჩხილებში მოთავსებული განმარტება; თუ ფრჩხილებში ჩასვამდა, ხაზის გადასმითაც უნდა მოესპო ან უფრჩისილებოდ უნდა მოესპო.

ზოგჯერ ტექსტში რაიმე შეუსაბამობა ან უწმაწური სიტყვა უნდა ყოფილიყო. — გამოიტოვება ასეთები და მათი ადგილი წერტილებით ამოივსება და ფრჩხილებშიც ჩაისმის.

არის შემთხვევები მარტო ერთი ფრჩხილის მოხმარების, 1), 5), ა), ე).

ფრჩხილებს ფართო გამოყენება აქვს მათემატიკური მეცნიერების სფეროში.

## გრავალები

ბრჭყალები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელსაც მრავლმხრივი დანიშნულება აქვს წერისა და ბეჭდვის სფეროში. ბრჭყა-

ლები სინამდვილეში წყვილ-წყვილი მძიმეა, — ორი თუ თუ მარტინ ბოლოში. თავმი ქვედა ხაზზე იქცრება. ხოლო ბოლოში — ზედა ხაზზე, ეს იმიტომ, რომ ბოლოში შებრუნებულია ბრჭყალები, რათა არ მოგვეჩენოს ახალი ნათქვამის დასაწყისად. იყენებენ ორგვარ ბრჭყალებს („—“) და («—»). ეს უკანასკნელი იძავე ხაზზე იქცრება, ჟაგრამ პირშექცევით.

ბრჭყალებში თავსდება სხვისი ნათქვამი, თუ იგი პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი. ასეთ ტექსტს ეწოდება ციტატა.

„ვაე-ფუშაველა ჩემს თვალში იძღვნად პატივსაცემი მშერალია, რომ შისი ხაწერების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და „შთაბეჭდილება“ (ილია ჭავჭავაძე).

თავის წერილში ტოლსტოის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: «„ტოლსტოის მხატვრული ნაწარმოებების შესწავლით რუსეთის მუშათა კლასი უკეთ გაიცხობს თავის მტრებს“» (სახელმძღვანელოდან).

ბრჭყალებში თავსდება სიტყვა ან გამოთქმა, როდესაც ისინი მოხმარებულია სიმბოლური-გადატანითი მნიშვნელობით: გაზეთი „კომუნისტი“, უურნალი „მნათობი“.

ბრჭყალებში თავსდება: წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კოპერატივების სახლწოდებანი, თუ ისინი შერქმეულია სიმბოლური გაებით: კოლმეურნეობა „განთიადი“, საბჭოთა მეურნეობა „იმედი“, კოპერატივი „ახალი გზა“; ბრჭყალებში უნდა შოთავსდეს ასეთი მაგალითებიც: სასტუმრო „კოლხიდა“, კოპერატივი „თელეთი“. გაზეთი „თბილისი“.

ბრჭყალებში თავსდება ნაწარმოებების სახელები, რომლებიც დასახელებულია ტექსტებში: შოთა რუსთაველის „ველისტიაოსანი“. სულხან-საბა რბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მაქსიმ გორკის „დედა“, შექსპირის „ჰამლეტი“...

ბრჭყალებში არ გათავსებთ. თუ რაიმეს მიყუთვნებული აქვს ვინგეს სახელი: ვლადიმერ ილიას ჟე ლენინის სახელობის სავტომობილო ქარხანა; შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი.

ვთქვათ, ესაუბრობთ ზედსართავშე, როგორც მეტყველების ნაწილები: შეტყველებაში ყველაფერი მეტყველების ნაწილია, მაგრამ თუ გვინდა იმის აღნიშვნა, რომ ზედსართავი სახელი „მეტყველების ნაწილთა“ სისტემაში ცალკე ჯგუფს წარმოადგენს, მაშინ ბრჭყალებში თავსდება გამოთქმა-ცნება „მეტყველების ნაწილი“.

ზოგჯერ ტექსტში გვჭირდება რაიმე ელემენტის გამორჩეულად აღნიშვნა, მაგალითად: ხმოვინთა შორის ა ცველაზე ფართო ხმოვანია; აქ გამოიყენეთ ხაზგასმა. ნაბეჭდში სხვაგვარი ფერით აღინიშნება, მაგრამ ბრჭყალებიც გამოდგებოდა ამისათვის — ხმოვანი „ა“, თან-დებული „ებრ“, სახელთა შრავლობითის საწარმოებელი: „ებ“ და „ნ-არ თ-ანი“ და სხვა.



ბრძყალებში უნდა მოთავსდეს ისეთი სიტყვა და გამოთქმული მელთა აზრი საპირისპიროდ უნდა იქნას გაგებული. შეიძლება დაიწეროს: იმისი საქციელი იმსახურებს „მოწოდებას“, ეს იმას ნიშნავს, რომ არ იმსახურებს მოწოდებას; ასეთივეა ისეთი შემთხვევები. როდესაც ირონიულ და დამამცირებელ სიტყვა-გამოთქმებს მოიხმარებ.

ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც ნაწარმოები და პერსონაჟი ერთსადაიმავარებენ სახელს ატარებენ. ასეთ დროს ნაწარმოების სახელი ბრძყალებში ჩაისძის, პერსონაჟის არა: ილია ჭავჭავაძის მოთხოვა „ოთარაანთ ქვრივი“, მაგრამ გიორგის დედა — ოთარაანთ ქვრივი აგრეთვად არავის დაეჩაგრინებოდა; ღარიბი გლეხის გოგია უიშვილის გატანჯულ ცხოვრებას ასახავს მოთხოვა „გოგია უიშვილი“.

ზოგჯერ მოყვანილი ციტატა. რომელიც ბრძყალებში უნდა მოთავსდეს, თვალი იწყება ბრძყალებიანი სიტყვით, მაშინ მოხმარებული იქნება ბრძყალების ორივე სახეობა, მაგალითად, მეცნიერი ლეო კვაჭაძე წერს «„რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება მეტწილად ბოლოშია».

## გადათანის ფესტივალი

1987 წლის 9 დეკემბრის გაზ. „სახალხო განათლებაში“ დაიბეჭდა პროფ. გიორგი შალამბერიძის წერილი „სიახლე სიტყვის გადატანისას“. ქვე უცვლელად წარმოვადგენთ ამ წერილს.

„ქართულში დიდი ხანია შემუშავდა სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანის წესები, რომლებიც გრამატიკის სახელმძღვანელოებშია განმარტებული და სკოლებში ისწავლება. წიგნებიც, უურნალ-გაზეთებშიც ძირითადად ეს წესებია დაცული. მაგრამ, სამწუხაოდ, ყოველთვის როდი ხერხდება მათი გატარება, განსაკუთრებით პრესაში. ამ უკანასკნელ წლებში საჭაროდ გამოითქვა მოსაზრებანი სიტყვის გადატანის წესების გამარტივების შესახებ. ამ აზრისაა მასწავლებელთა დიდი ნაწილიც.“

გადატანის წესები ძირითადდ ემყარება სიტყვის დამარცვლისა და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის, ე. ი. ფონეტიურ და მორფოლოგიურ პრინციპებს, ოღონდ ეს კია, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უჭირთ მორფოლოგიური პრინციპის გამოყენება, რადგან V-VI კლასებიდან ფუძე-აფიქსების გამოყოფაში ისინი გაწაფული არ არიან.

უკავშირში შეტყობინებული საჭაროდ გამოითქვა მოსაზრებანი სიტყვის გადატანის წესების გამარტივების შესახებ. ამ აზრისაა მასწავლებელთა დიდი ნაწილიც.



ცოცხლი, ბუზ-ლუნი, გაძ-ლოლა, შემთხ-ვევა და ა. შ.

თანამდებროვე ქართული სალიტერატურო ენის ნოტშენტვარულის  
დეკნიმა მუდმივმა კომისიამ თავის № 3 ბიულეტენში, რომელიც ახ-  
ლახან გამოიცა, გამოაქვეყნა კომისიის მიერ დამტკიცებული „სიტყვის  
გადატანის წესები“ (იხ. „თანამდებროვე ქართული სალიტერატურო  
ენის ნოტშენტვა“, ბიულეტენი № 3, 1987, გვ. 7). ამ დოკუმენტში აღ-  
ნიშნულია, რომ „სიტყვის გადატანის წესები ემყარება მარცვალსა  
(ფონეტიკური დანაწევრება) და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის (მორფო-  
ლოგიკური დანაწევრება) პრინციპებს.

დამტკიცებული წესების ძირითადი დებულებები ასეთია:

1. ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნიანი სიტყვა არ ითიშება. ე. ი.  
არ გადაიტანება;

2. ერთხე მეტმარცვლიანი სიტყვის გათიშულ ნაწილებში თითო  
ხმოვანი მაინ ცუნდა იყოს;

3. ცალი თავკიდური ან ბოლოკიდური ხმოვანი სიტყვას არ ეთი-  
შება, ე. ი. არ შეიძლება სტრაქონზე დავტოვოთ ან მეორე სტრიქონ-  
ზე გადავიტანოთ;

4. თუ ხმოვნებს შორის ერთი თანხმოვანია, არ შეიძლება სიტყ-  
ვის გათიშვა ამ თანხმოვანზე.

5. სტრიქონთა მიჯნაზე მოხედრისას ითიშება ხმოვნებს შორის  
მოქცეული ნებისმიერი ორი თანხმოვანი, ორ-მო, უც-ხო, ოთ-ხო, აფ-  
ხაზი, საჩ-ხერე,, საწ-ყალი, სატ-ყეო... გათიშვა შეიძლება ღია მარ-  
ცვალზედაც (სატყეო. სი-ტყვა, სა-ქმე...);

6. თუ სტრიქონთა მიჯნაზე თავს იყრის ორზე მეტი თანხმოვანი.  
ზღვარი შეიძლება დაიდოს ნებისმიერ ორ თანხმოვანს შორის;

ამ ბოლო წესს ახლავს დაზუსტება; სიტყვის ლექსიკური მნიშვ-  
ნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია: ა) უუბისეულ თანხმოვნებს  
გაემიჯნოს დამხმარე ელემენტის (აფიქსის, თანდებულის, ზმინიწინის...)  
ელემენტი (სახლ-მა, გან-ვლო), ბ) გაითიშოს ორი ერთპნაირი თან-  
ხმოვანი (კოვზ-ზე, მათ-თვის, შებინ-დება...); გ) თუ სტრიქონთა მიჯ-  
ნაზე რთული სიტყვის ორზე მეტი თანხმოვანი იყრის თავს, უმჯობე-  
სია ბუნებრივი ზღვარი დაიდოს შემადგენელ ფუძეთა შორის (კოლ-  
ქმარი, ათ-წლიანი, ურთიერთ-დამოკიდებულება, სპორტ-კლუბი...).

როგორც ვხედავთ, ოფიციალურად დამტკიცებულია სიტყვის გა-  
დატანის წლების მანძილზე შემუშავებული წესები და ამ მხრივ გა-  
დადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი მათი გამარტივებისაკენ, რაյი და-  
საშვებად არის მიჩნეული ნებისმიერი ორი თანხმოვნის გათიშვა. ამიე-  
რიდან შეცდომად არ ითვლება სიტყვის გადატანისას ე. წ. ჰარმონიუ-  
ლი ბგერათკომპლექსების გაყოფა. წესებში გამოყენებული სიტყვა  
„უმჯობესია“ იმას გვავალებს, რომ მოსწავლეებს სწორედ ამ უმჯო-  
ბესი ფორმების გამოყენება ვასწავლოთ.

უკვე სალიტერატურო ენის ნორმად დამტკიცებული სიტყვის გა-  
 ატანის წესებით, ცხადია, მოსწავლეთა და აბიტურიენტთა წერით  
 ნამუშევრების გასწორების დროსაც უნდა ვიხელმძღვანელოთ“.

თითქოს არის გადატანის წესების ერთგვარი გამარტივება, მაგრამ  
 მაინც საჭიროა სისტემატური და საგანგებო ვარჯიში, ყურადღების  
 გამახვილება, რათა ეს წესები წვევად ეჭცეს ადამიანს.

მასწავლებელმა ფზიზელი თვალ-ყური უნდა იდევნოს მეთოდი-  
 კურ ლიტერატურას და არაფური გამორჩეს, თუ რამე ცვლილებები  
 შეეხება ამ დაღვისაც წესებს.

## დიაპრიტიკული

წერაში ან ბეჭდვაში ზოგიერთ ასოს გაუკეთდება განმასხვავებე-  
 ლი ნიშანი; როდესაც ეს ნიშანი არ არის, ერთგვარად ამოიკითხება  
 ასო, მაგრამ თუ განმასხვავებელი ნიშანი ახლავს, ასო სხვაგვრად უნ-  
 და ამოიკითხოს. ეს წესი ტრადიციულად არის დამკვიდრებული ზო-  
 გიერთ ენაში.

## მახვილი

მახვილი მეტყველებაში რომელიმე ელემენტის საგანგებოდ გა-  
 მოსარჩევი საშუალებაა: მაგალითად, უფრო ხშირად მახვილი მოუდის  
 სიტყვას რომელიმე მარცვალზე (იგულისხმება მარცვლის ცინტრი,  
 ანუ ხმოვანი ბერე). ყოველ ენას „მახვილის“ თავისი წესები მოეპო-  
 ვიანა არამშობლიური ენის შესწავლისას ძალიან დიდი მნიშვნელობა  
 აქვს მახვილის წესების დაუფლებას. ზოგიერ გარკვეული მიზნით სი-  
 ტყვაში მახვილიანი მარცვლის ხმოვანს მისათითებელი ნიშანი აქვს:  
 Собака (როგორც ცნობილია, მახვილიანი მარცვლის წინა ი უნდა  
 ამოკითხულ იქნას: С-ა-бакა).

## ძარაგება

დაქარაგმება წერის გარკვეული წესი იყო; ძველად უმთავრესად  
 მიმართავდნენ რომელიმე სიტყვის შემოკლებულად წერას. ეს განსა-  
 კუთრებით საჭირო იყო საწერი ადგილის ან მასალის ეკონომიკისათვის.  
 შემოკლებულად დაწერილ სიტყვას უკეთდებოდა პირობითი ნიშანი,  
 ანუ „ქარაგმის ნიშანი“ ( ). რომ მეოთხელს ისე ამოეკითხა სი-  
 ტყვა. როგორც დამწერი ფიქრობდა.

## ცოლიო

ხელნაწერ ან ნაბეჭდ ტექსტში ზოგჯერ საჭირო ხდება მითითება,  
 თუ საიდან არის მოყვანილი სიტყვები, ესი უკუთვნის ის. რომელი  
 გამოცემაა მიჩნეული წყაროდ, წელი გამოცემისა, ზოგჯერ გვერდის

და სხვა; საჭირო არის აგრეთვე გარევეული ახსნა-განმარტებანი, რომ-  
 ლებიც ტექსტის ნაწილს ეხება. მაგრამ უფრო მიზანშეწონილია ასე-  
 თების ტექსტის გარეთ გამოტანა. საამისოდ სათანადო სიტყვას, წინა-  
 დადებას ან მთელ ციტატას დაესმის პირობითი მისათითებელი ნიშანი:  
 ვარსკვლავი ან რიცხვი და გამოსატანი ცნობები თავსღება გვერდის  
 ბოლოში .ამ წესს ეწოდება სქოლით. ტექსტის ძირითადი ნაწილი და  
 სქოლით გამოყოფილია თვალსაჩინოდ, ზოგჯერ ხაზის გაკლებით.

ზოგჯერ სქოლის ცნობები სათანადო მითითებებით წიგნის სულ  
 ბოლოშია გადატანილი.

**პაგინაცია —** ტექსტის გვერდების მუხლებად დაყოფა და ნუმე-  
 რაციით აღნიშვნა.

**პარაგრაფი —** ტექსტი ხშირად დაყოფილია თემატურ ნაწილებად  
 (თავებად, კარებად), ხოლო ნაწილები — მუხლებად, ანუ პარაგრაფე-  
 ბაც).

**№-ი** — არის შემთხვევა, რომ არ უნდათ დაასახილონ ადგილი  
 თავისი სახელით; ამას აღნიშნავენ ზოგადად და დასმულია ნომრის  
 ნიშანი: №„: „რკინიგზის სადგური №-ზე სიომაოს ფასს აუარებელი  
 ხალხი უცდიდა მატარებელს“ („ჩვენი ქვეყნის რაინდი“).

### ნიშნები გიგანტიოგრაფიული ცოდნებისათვის

„ბილიონგრაფია“ ნიშნავს: წიგნის მცოდნეობას“. დაბეჭდილი მო-  
 ვებორება: გაზეთის, წიგნის, ბროშურის, უურნალის და სხვაგვარი სა-  
 ხითაც: როგორკენ ხელნაწერში, ასეულ დაბეჭდილში გამოყენებულია  
 სხვადასხვა ნიშნები, რომელთა დანიშნულების ცოდნა გვიაღვილებს  
 ტექსტის შინაარსის გაგებას.

**გაზეთი —** არის ორგანო გარევეული ორგანიზაციის. უწყების.  
 მაგალითად: როდესაც ხელში გვაქვს გაზეთი „ლიტერატურული სა-  
 ქართველო“, ჩვენს ყურადღებას იპყრობს სათაური, სულ თავში და-  
 ბეჭდილია დევიზი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გა-  
 ზეთის სათაური გამორჩეული ასოებით არის დაბეჭდილი: გვერდზე  
 ორთვენია, რომელიც ჭილდობა აქვს მიღებული გაზეთს თავისი დამსა-  
 ხორციელისათვის: აქეთ აღნიშნული, რომ გაზეთი ეკუთხის გარეუ-  
 ლო უწყებას, არის „საქართველოს მწერალთა კარტირის გამეცების  
 ორგანო“. სათაურის არეში არის აგრეთვე სხვა ცნობებიც: რომ ეს  
 ნომირი გამოიიდა პარასკევს, 14 აპრილს, 1989 წლს: რომ ეს გაზეთი  
 დაბეჭდა თანმიმდევრული ნომრით № 15 (2691). — ფრჩხილების  
 გარეთა ციფრი „15“ აღნიშნავს, რომ 1989 წლის იანვრიდან ეს მე-15  
 ნომერია, ხოლო ფრჩხილებში ჩასმული (2691) ციფრი გვაკრიბს, რომ  
 გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თაარსებირან ამდენი ნო-  
 მერი გამოიიდა: აღნიშნულია აგრეთვე, რომ გამოცემის 57-ე წელია.  
 ზოგჯერ გაზეთს სათაურის არეში დაბეჭდილი აქვს, თუ რამდენი  
 მოს ნომერი და სხვა.



გაზეთში დაბეჭდილი მასალები განაწილებულია სათავო და სამართლებულებულის შესაბამისად: შერჩეულია შრიფტი, ანუ ასოები: სატატილებისათვის და სხვა.

გაზეთში ყურადღებას იძყრობს ავტორები უკანასკნელი გვერდის რასასრული. ამ ნაწილში დასახელებულია რედაქტორი ან სარედაქტო კოლეგია: რედაქტორისა და სტამბის მისამართები; რედაქტორის განყოფილებები, მათი ტელეფონების ნომრები და სხვა.

ყოველ დაბეჭდილ ორგანოს ეკუთვნის თავისი ინდექსი. ანუ სახლმწიფო ნიშანი: მაგალითად, „ლიტერატურული საქართველოს“ ИНДЕКС-ი არის „06436“. ამ ნიშნით ეს გაზეთი ეგზავნებათ სხვადასხვა უწყებებს დასაცავად. დაბეჭდილ ყოველ ორგანოს სათანადო აღვილზე აქვს სახე ნიშანი „უ“ — და ციფრი: ეს არის ე. წ. მთავლითის ნიშანი (მთავარი ლიტერატურული სამმართველოს ნიშანი); მაგალითად, მთავლიტს, ე. ი. მაკონტროლებელ უწყებას. უფლება მიუცია. რომ „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 14 პრილის ნომერი ნებადართულია გასავრცელებლად („უ 00247“).

**წიგნი** — გასხვაცდება გაზეთისაგან გარეგნულადაც. ე. ი. გაზეთი თავისებური ფორმატისაა, ხოლო წიგნსაც თავისებური ფორმატი აქვს. მაგრამ წიგნსა და გაზეთს შორის ძირითადი განსხვავება მანც იმაში გამოიხატება, რომ გაზეთი პერიოდულად გამოდის: ან ყოველდღიურია ან ყოველკვირეული და ასე შემთევ. წიგნი რომ გამოიცემა, შეიძლება გარევალი დროის გასვლის შემდეგ გამოორებით დაიბეჭდოს. მაგრამ ეს არ ნიშანს პერიოდულობას.

ყოველ წიგნზე გვხვდიბა განსაკუთრებული აღრინიშენიბი. რომილთა ცოდნა გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას წიგნის დანიშნულებაზე.

წიგნის ყდაზე უმთავრესად აღინიშნება აუტორის (ან შემდგენლის) ვინაობა, წიგნის სახელწოდება, გამოცემის წელი, ადგილი და სხვა.

წიგნის ყდის შემდეგ გამოიყოფა განსაკუთრებული ფურცელი, რომელსაც „სატიტულო გვერდი“ ეწოდება.

„სატიტულო გვერდი“ უთრო თაწერილებით გვაწვდის ცნობებს. ეიდრე ყდა. უკანასკნელ ხანებში გამომცემლობებმა და პოლიგრაფიამ სატიტულო გვერდზე მრავალმხრივი ცნობების აღნიშვნა დაიწყეს; განვმარტავთ ზოგიერთის დანიშნულებას.

სატიტულო გვერდის სულ ზეით, მარჯვნივ, ზოგჯერ დაბეჭდილია საბიბლიოოთები ნიშანი, რომელიც აღნიშნავს. თუ ეს წიგნი რომელ განცოდილებას მიეკუთნება, და რომელი პირობითი ნიშნით აღინიშნება აუტორის გვარი; ეს აათვილებს, რათა წიგნი მოთავსდეს მისთვის მიჩნეულ აღვილზე, რომ ადვილად მოიძებნოს და გადაეცეს მომხმარებელს.

სატიტულო გვერდზე ზოგჯერ მოთავსებულია ანოტიტიტიტიტიტის  
მოქალა დახასიათება წიგნის დანიშნულებაზე.

სატიტულო გვერდზე აღნიშნულია: წიგნის რედაქტორი, რეცენზენტი ან რეცენზენტები.

სატიტულო გვერდზე შეჯიხდებათ ასეთი ნიშანი C ეს მიგვი-  
ოთიბს, რომ წიგნის გამოცემისათვის დაცულია სავტორო უფლიბის,  
სათანადო წესი.

სატიტულო გვერდზე აღნიშნება აგრეთვე (წილადის სახით), თუ  
ეს წიგნი გამომცემლობის თემატურ გეგმაში რომელ სპეციალობას  
ასოთინის. რომელი ასოთი იწყება წიგნის სახელწოდება, აგრეთვე  
გამომცემლობის სტანდარტული ინდექსი, გამოცემის წლი და სხვა.

სათანადო (ცნობებს შეიცავს აგრეთვე წიგნის უკანასკნელი ფურ-  
ცელიც): აქ უფრო ხშირად დასახელებულია გამომცემლობის რედაქ-  
ტორი, კორექტორები. მხატვრობაზე გამფორმებელი. ტექნიკური  
რედაქტორი. პასუხისმგებელი გამოშეგინისათვის და სხვა.

უკანასკნელ ფურცელზე არის განსაკუთრებული ცნობების, რომ-  
ლებიც უცირატისად გამომცემლობასა და სტამბის საშინაობის თა-  
ვისებურებებს შეეხება, მაგალითად: როდის გადაეცა წარმობას თე-  
დანი, როდის არის ხელმოწერილი დასაბეჭდად; როგორი შრიფტია  
გამოყენებული, მაგალითად, „ბეჭდვა მაღალი“ — ნიშნავს იმას, რომ  
შრიფტი ჩამოსხმულია ისე. რომ ასო მობურცულია: აღნიშნულია, თუ  
რომითი „გარნიტურა“ არის გამოყენიბული: ეს იმას ნიშნავს, რომ  
არსებობს სხვადასხვა მოხაზულობის შრიფტი: ყოველ მათგანს აქეს  
თავისი პროპითი სახელი, მაგალითად: ჩვეულებრივი, უწორი, უნი-  
კურსიტეტი... და სხვა. „გარნიტურა“ მოეკო კომპლექსია საშეალე-  
ბებისა თა მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლიბა. ყოველი გარნიტურა  
თავის შესაფერისი ნიშნებით უნდა იქნას მოხმარებული.

უკანასკნელი ფურცელის ცნობები აღნიშნავს აგრეთვე, თუ როგო-  
რი ხარისხის ქალალზე დაიბეჭდა წიგნი. როგორია ქალალის ზომა:  
როგორია სალებავ გატარება, ანუ რამდენნარი ფორმა წიგნში წარ-  
მოგენილი. ე. ი. რამდენ ფურცელის გატარება: რომელი წიგნი დაბეჭდილი  
რომელი წიგნი დაბეჭდილი. — ოფსეტური წესი უკანას-  
კნელი გაუმჯობესებული საშუალებაა: რამდენ გვირდს შაირავს წიგ-  
ნი: გვერდთა რაოდენობა იყოფა 16-ზე და მიიღება თაბახების, ანუ  
ფორმების რაოდენობა: რამდენი პირობითი თაბახია წიგნში. ე. ი. ყვე-  
ლა გვერდის სათვალეების მიხედვით რამდენ 16 გვერდი (თაბახი)  
არის წიგნში. რამდენია საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი, ანუ ისეთი  
გვერდები, რომლებიც დაბეჭდილ ტექსტის უკავია, — ყოველივე  
ამას მნიშვნელობა აქვს წიგნზე გაწეული ხარჯების დასაანგარიშებლად  
და ფასის განსაზღვრისათვის.

რა თქმა უნდა, წიგნის უკანასკნელ ფურცელზე აღნიშნება მისი

ფასი, რომელმა გამოცემლობამ დაბეჭდა, რომელ სტამბაში აჭარაში მისამართები და სხვა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკველა წიგნს ზოველოვის ერთნაირი ცნობები არ მოეპოვება. ეს დამოყიდვებულია იმაზე, თუ წიგნი რა დანიშნულებისაა, ან ამა თუ იმ გამოცემლობას რომელი ცნობების აღნიშვნა შიუჩნევია საჭირო.

**უფრნალი** — უფრო ხშირად წიგნის ფორმატის მსგავსია, მაგრამ უცრბხალი ჰგავს განეთნაც, რაღაც, იგი პერიოდული ორგანოა; ასე-თვევა აღმართიც.

ჩვენ ეს ნაწილი გარეული მიზნით გავითვალისწინეთ სახელმძღვანელოში; მას შესახებ საუბარი გვექნება მეთოდიურ ნაწილში.

უნდა შევნიშნოთ. რომ წიგნებში სხვა სახის ცნობებსაც შევხდებით; მაგალითად: ზოგჯერ წიგნს დართული იქნა, შესავალ ნაწილში, სხვადასხვა სახის განმარტებები ან წიგნის მომარტების წესები და სხვა.

ხოლო წიგნს ზოგჯერ, ბოლო ხელილში, თან ერთვის სალექსიკონო მასალა, ან განსაკუთრებული შენიშვნები და სხვა.

უკველივე ეს ამდიდრებს წიგნის დანიშნულებას და უფრო მეტ სარგებლიანობას ვიძენთ შისგან.

### მეთოდიკური ზონიზავები

პუნქტუაციისა და წერა-ბეჭდვის ტექნიკის საშუალებების მოხმარების წესების დაუფლება მოითხოვს მტკიცე და თანმიმდევრულ მეთოდიურ ლონისძიებებს. ანგარიში უნდა გაეწიეს იმ ფაქტს, რომ სასვენი ნიშნებისა და სხვა საშუალებების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის გრამატიკის ამა თუ იმ მასალასთან ან წერა-ბეჭდის რაიმე ტექნიკურ წესთან.

მასწავლებელს უკველოვის უნდა ახსოდეს, რომ პუნქტუაციური ნიშნების მიმართება მის წესთან გულისხმობს გარკვეულ საფუძველს, რომელიც მკვეთრად უნდა გამოჩინდეს სამიზნო მომენტში. მთელი რიგი სასვენი ნიშნების გამოყენება სინტაქსურ ანალიზსა და თეორიულ დასაბუთებას საჭიროებს. ცხადია, ამ მხრივ სინტაქსური მოვლენებისა და წესებისადმი სავანგებო ყურადღება ბევრად შეუწყობს ხელს ამა თუ იმ ნიშნის მოხმარების ჩვევის დაუფლებას და პრაქტიკაში დანერგვას, და ა. შ.!

დაუშეებელია, რომ გაკვეთილებზე ყოველი მასალის ახსნის დროს მოხდეს „გადარბენა“, „მიფურჩეჩება“ სასვენი ნიშნების მიმართ, მაშასადამე, არ ჩატარდეს ჯეროვანი ანალიზი და ვარჯიში მათი დანიშნულების გააზრებისათვეს.

<sup>1</sup> გ. ჩ. მიშალი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 1954 წ.



ჭადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტროლის მოამზადებულების გამომუშავებას. აღამიანი კონტროლს უნდა უწევდეს როგორც საკუთარ ნაწერს, ასევე სხვის მიერ შესრულებულ ნაწერსაც. უნდებლივ შეცდომებს რომ დავანებოთ თვით, არავინ არა ვართ დაზღვიული, რომ საწერში რაიმე წერის შეცდომა არ მოგვიყა, მაგრამ თუ თვითონ-ტროლის საჭიროება ისე გამახვილდება, რომ აუცილებლად მივმარტოვთ მას, შეგნებულობას დაუკვიმდებარება ბევრი რამ. უნდა გამოუმტკავდეს შოსწავლეს იმის უნარი და მოთხოვნილება, რათა აკონტროლებდეს ყველაფერს, რასაც კითხულობს პუნქტუაციის წესების მართებულად მოხმარების თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ გაცვეთოლზე მივმართოთ ასეთ საშუალებას, რომ მოწაფებს გადავცეთ ერთმანეთის ნამუშევრები და წარმოაღვინონ შეძლება, თუ რამდენად მართებულად არის დაცული პუნქტუაციისა და სხვა საშუალებების მოხმარების წესები.

ზოგჯერ შეიძლება, რომ გარკვეული ტექსტი მივაწოდოთ ბავშვებს (რა თქმა უნდა, ნაბეჭდი) და იმუშაონ მასზე, რათა შემდეგ დაადასტურონ სასვენი ნიშნების დაცვის ავ-კარგი<sup>1</sup>.

მასწავლებელს ყოველთვის შეუძლია მინანშეწონილად გამოიყენოს ისეთი საშუალებები, როგორიც არის კარნახის სხვადასხვა სახეობანი. ვუკარნახოთ წინასწარ შეჩრიელი ტექსტი ისე, რომ სასვენი ნიშნები არ დავასახელოთ. თავად დაუწერენ პუნქტუაციის საშუალებებს და შემდეგ მოეთხოვთ მათი ახსნა-განმარტებანი. სასურველი იქნება, რომ ასეთი სახით შესრულებული ნამუშევრები მასწავლებელმა შეამოწმოს.

ზოგჯერ უნდა მივმართოთ ე. წ. თავისუფალ კარნახს, როდესაც იწერება საკუთარ შთაბეჭდილებაზე, მოსმენილზე, წაკითხულზე და სხვა. აქ უფრო თავისუფალია „ავტორი“ და პუნქტუაციის წესების მოხმარების კულტურაც შელავნდება.

სასურველ იქნება, რათა მასწავლებელმა დრო და დრო შეამოწმოს ე. წ. „საშინაო რეეულები“, კონსპექტები ჩანაწერები, თუ რომ მოწაფეთა უურადლება პუნქტუაციის წესების დაცვისადმი და პრაქტიკაში შოხმარებისადმი. განსაკუთრებული უურადლება უნდა მიეცეს კითხვის დროს პუნქტუაციის შესაბამის ინტონაციას.

მასწავლებელი ნუ ელოდება საგანგებო ტექსტს სავარჩიშო შაობისათვის; ტექსტად გამოდგება ყველაფერი, რაც კი დაწერილია საბამისი ტექსტის დაბეჭდილია. სასურველია, რათა საჭიროებისამებრ ზოგჯერ თაან დაბეჭდილია. სასურველია, რათა საჭიროებისამებრ ზეუად მასწავლებელმა შექმნას მიზნობრივი წესის დაუფლებისათვის შეუად მასწავლებელმა შექმნას მიზნობრივი წესის დაუფლებისათვის საბამისი ტექსტი, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში დაკვირვებისათვის მოხმარებულ უნდა იქნას „ცოცხალი მასალა“: განეთების. უურნალებისა და წიგნების მიხედვით.

<sup>1</sup> ე. თაბუკი შვილი, პუნქტუაცია (სავარჩიშო კრებული), თბ., 1958 წ.

მოსწავლეს განუყრელი ურთიერთობა აქვს წიგნთან, — როგორც  
 მისი სწავლის, განათლებისა და აღზრდის საშუალებასთან. სამწუხა-  
 როდ, ადამიანებმა ცოტა იციან ამ „გულითადი მეგობრის“ შესახებ:  
 როგორ იქმნება წიგნი, განსაკუთრებით როგორია მისი ბეჭდვის  
 ტექნიკოგია და სხვა.

მოსწავლეთა შეგნებული დამოკიდებულება წიგნისადმი როგორ  
 გაიზრდება, როგორ გამოუმუშავდებათ მოწიფება მისდამი. აგრეთვე  
 სიამაყის გრძნობა, თუ მათ ეცოდინებათ წიგნის შექმნის წესები და  
 პროცესები. ყოველივე ამას ემსახურება ამ სახელმძღვანელოში წარ-  
 მოდგენილი „ბიბლიოგრაფიული“ ცნობები. მაგრამ, გულახდილად  
 რომ ვთქვათ, ეს არ იქნება საკმარისი; ახლა ყოველ ქალაქშა და თი-  
 თქმის ყოველ რაიონში არსებობს სტამბები. ძალზე პრაქტიკული და  
 ფრიად სასარგებლო იქნება, თუ მიზანშეწონილად გამოვიყენებთ ამ  
 ობიექტებს. არამარტო როგორც საექსკურსიო ასპარეზს, არამედ,  
 პოლიგრაფიული (ბეჭდვითი) ტექნიკის საფუძვლიანად გაცნობის  
 ბაზას. რა გონიერული იქნებოდა, თუ სკოლა დაგეგმავთა მოსწავლეთა  
 სასწავლო პრაქტიკას სტამბაში; ეს სულ 4-6 საათს თუ საჭიროებს.

კარგი იქნებოდა, რომ გვეფიქრა პოლიგრაფიის საკითხებზე მარ-  
 ტივი სახელმძღვანელოს შესაქმნელად (საგანგებოდ სკოლებისათვის).

Министерство народного образования Грузинской ССР  
Научно-методический центр

Александр Эрастович Гвицадзе

ЗНАКИ ПРЕПИНАНИЯ И ТЕХНИКА ПИСЬМА-ПЕЧАТИ  
(на грузинском языке)

რედაქციის გმიგე ა. კიკნაძე  
გამოშეცმლობის რედაქტორი ნ. ტრაპაძე  
ტექნიკური რედაქტორი ა. ბაკურაძე  
კორექტორი მ. გ. ლეთოდიანი

შეკვეთ № 589

ტირაჟი 3000

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცებიძის ქ. № 7  
Тип. Министерства народного образования ГССР, ул. Нуцубидзе № 7

